



619
2000

გონივი

2000

№ 1 – 3
2000



ქვამ ქვიტოა ხარ ქლიერო!



132



ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

და შერნიობი. ღვთის მტყუალუბრის იმედი
აღვსილი ყველას გულისთადად გილტვავთ
ქრისტიანობის 2000 წლის მტყუალუბრე
ღვთისმეტყველს, შერნიობ და მშვიდობიან
ასალ წელს: „აქრთსე უთვალთ, გვიტგვინი
ამის წელიწადისა სასიობრებითა შინითა“.

ბმანთ და დანთ ჩებნთ, შვეთსთუთ
ასალმთმილ უთვალს, იქსთ ქრისტიანს,
მთამგადმს ჩვენი გულები სულები
თუბრისტიანობისათვის, მთგვეს მადლი
სიმდამლისა და მთბჩილებისა, ცდვრათა
მიტყუებრისა, მადლი სიყვარულისა და
მშვიდობისა, სულები უბთმბისა, ბათა
უიყთ ღვთის ნების აღმსარებლები, ბერ
მისად უიწბრთ და უბწვრებულად უბქვათ
„მამათ ჩვენთ... იყავნ ნება შინი!“

ღამე განგვმბრდა და დღე მთასლთვდა.
დბთა გაუიღვიბთ.

ყველას გილტვავთ ქრისტიანობის ბბი
ათასი წლის მტყუალუბრე ღვთისმეტყველს
და დამდრგ ასალ წელს.

ღმბრთი მშვიდობისა და სიყვარულისა და
ქრისტიანობისა იყავნ ბბვენ ყბველთა
თანა.

21760

მთგვესლას მტყუალუბრე ღვთისმეტყველი
- დღე ღვთის უბსპობთ სიყვარულის
გამაღვრებრისა, დღე კაცობბობის უბბრე
სისებრულისა, შველუბში იბუა უთვალი,
მაგბამ დღეს იგი იბადრებ ყბველი
ქრისტიანობის ქრისტიანობის გულები.
მთუბგადმთ, ბათა მივიღმთ იგი ჩვენი
ახსებრის განწმებრდელ ცვამბბი და უბთს
იქ უბუნისამდრე.

„ამისთვის მბბილუბად და ამისთვის
მბვიუბინე სბთლად, ბათთა უწამბ
ქრისტიანობის. ყბველი, ბბბელი ქრისტი-
ანობისაგან იყბს, ისმინბს სბმისა
ჩებრისა“, - მბბანებს იქსთ ქრისტიანს.

ჩვენს წინამბე მბმავლის კბბი იღება.
დღე, იყბს იგი მშვიდობიანი, ღვთისსათბთ

საქართველოს
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ისინი გვიხმობენ სალოცავად, სიკეთისა და მშვიდობისათვის. შეგვახსენებენ ჩვენს გარდაცვლილ წინაპრებს, გვიჩვენებენ ცოდვებისაგან ხსნის გზას. მოგვინოდებენ, ვიცხოვროთ პატიოსნად და გონივრულად, გვინერგავენ სულის სიმშვიდეს, მოკრძალებას, მორჩილებას, მოყვასისადმი პატივისცემასა და სიყვარულს.

სანთლები სულიერ სამყაროს გვაზიარებენ, ღმერთის საოცარ ძალას გვაგრძობინებენ და, თითქოს, ყოველივე ამისაგან განვიციდით შვებას... როგორც ისტორიის მამა ჰეროდოტე ამბობს: ძველი სპარსელები მიცვალებულების გვამს ფარავდნენ ცვილით და ისე ასაფლავებდნენ. ამას ადასტურებს სტრაბონიც ძველი ნელთალრიცხვის 64-63 წ. წ. ეგვიპტელებიც პატივს სცემდნენ ცვილს. ბერძენებისა და ფინიკიელებისათვის კი ცნობილი იყო მისი გათეთრების მეთოდი. პირველად სწორედ მათ დაიწყეს ცვილისაგან სანთლების დამზადება და მათი სხვადასხვა ცერემონიის დროს გამოყენება. მოგვიანებით ცვილით ფარავდნენ ფიცრებს, რომლებსაც სანური ქალაღდის ნაცვლად იყენებდნენ.

ზოროასტრის რელიგია, რომელიც უძველეს ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში იყო გავრცელებული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მსხვერპლად შესანიერ საგნებს შორის უპირატესობას სანათ მასალას ანიჭებდა. იგი ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ორმუხს ან აურამუხს. (არმაზს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით), რომელიც სინათლეს განასახიერებდა. საქართველოში შემონახულია კერპთაყვანისმცემელთა პერიოდის მონეტები სანთლის გამოსახულებით და სანაიდურ-ივერიული მონეტები, რომლებზეც ასევე სანთელია გამოსახული.

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის მატრიანეში გვამცნობს, რომ ქართველმა კერპთაყვანისმცემლებმა ღვთისმსახურების დროს დაიწყეს უამრავი სანთლის ანთება სპეციალურად აგებულ სამსხვერპლოზე. აღწერს რა მეფე ფარნაოზის დროს (ძველი ნელთალრიცხვის 302-237 წლებში), ქართველთა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს: უნთებდნენ (არმაზს) ცვილისაგან ჩამოსხმულ კელაპტრებს. იმას, რომ ცვილი და ცვილის სანთელი მართლაც დიდი პატივით სარგებლობდა და ძველ ივერიაში ჯერ კიდევ ძველი ნელთალრიცხვის დროს გამოიყენებოდა, ადასტურებს ძველი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი ქსენოფონტი (ძველი ნელთალრიცხვის დაახლოებით 430-355 წლები). იგი დანვრილებით აღწერს, რომ დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო განვითარებული მეფუტკრეობა, ელინები გააოცა უამრავმა სკამ, რომლებიდანაც, როგორც ჩანს, ქართველები რელიგიური წეს-ჩვეულებებისათვის საჭირო



სანათ მასალას მოიპოვებდნენ. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ცვილი და თაფლი გაჰქონდათ კიდევ კოლხეთიდან.

ქრისტიანული ეკლესია ცვილის სანთლებს თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე იყენებდა. ყველაზე ადრე განათებული იყო სიონის სენაკი, რომელშიც იყო ქრისტემ საიდუმლო სერობა მონაწილე (სერობა ხომ ღამით ხდებოდა). წმინდა მოციქულთა მოღვაწეობის წიგნი მოგვითხრობს, რომ მრავალი სანთლით იყო განათებული სენაკი, სადაც წმინდა მოციქულმა პავლემ თავის მოწაფეებთან ერთად გატეხა პური. ფუტკრის ცვილი, როგორც ღვთისმსახურების დროს ეკლესიების განათებისათვის აუცილებელი ატრიბუტი, მოიხსენიება წმინდა მოციქულების 71-ე და 72-ე წესებშიც. ამ წესებით ცვილი ზეთთანაა გათანაბრებული.

I-II საუკუნიდან სანთლები ვრცელდება მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ჩვენთან ღვთისმსახურება არასდროს არ სრულდებოდა სანთლების გარეშე, - ამბობს ღვთისმეტყველი და მწერალი კვინტუს სექტიმუს ტერტულიანე (დაახლოებით 160-229 წლის შემდეგ) - მაგრამ მათ მარტო იმ მიზნით როდი ვიყენებთ, რომ განვდევნოთ ღამის წყვდიადი, - რადგან ლიტურგია ჩვენთან უკვე დღის სინათლეზეც სრულდება; არამედ იმისათვისაც, რომ გამოვსახოთ ქრისტე, - ხელთუქმნელი სინათლე, ურომლისოდაც ჩვენ დღისითაც კი ისე აგვებნეოდა გზა, როგორც წყვდიადში.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სანთლები ღვთისმსახურების აუცილებელი კომპონენტი იყო, ანთებდნენ მათ წამებულთა სასახლეების წმინდანთა გამოსახულებებისა და თვით იმ საგნების წინაშეც კი, რომლებიც წმინდად ითვლებოდა. როგორც ძველი აღთქმა გადმოგვცემს, მოსეს სჯულის წიგნის წინ ყოველთვის ენთო სანთლები, ეკლესიის მსახურნი მოითხოვდნენ მათ ანთებას სახარების წინაც. წმინდა იოანე ოქროპირი თავის „სიტყვაში გარდაცვლილთა შესახებ“ ამბობს: „გუნდრუკითა და სანთლებით ვაცილებთ მათ, და ამით ვუჩვენებთ, რომ ისინი ამქვეყნიური ბნელებითიდან ჭეშმარიტ სინათლეში გადადიან“.

VI საუკუნეში ეკლესიებში ცვილის სანთლების გამოყენებას ამკვიდრებს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინე I დიდის (დაახლოებით 482-565) სახელმწიფო კანონი, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ჯვრისა და ხატისადმი პატივის მიგება მორწმუნეებმა გამოხატონ კოცნით, მუხლმოყრით, გუნდრუკის კმევითა და სანთლის ანთებით.

იგივეს ვხვდებით საქართველოშიც, სანთლების ანთების ჩვეულება ქართველებში დაკანონდა IV საუკუნეში, საქართველოში წმინდა ნინო განმანათლებლის მოსვლითა და ქრისტიანობის გავრცელებით.

ცამეტი წმინდა მამიდან ერთ-ერთის, კერძოდ, იოანე ზედაზნელის „ცხოვრება-

ში“ ნათქვამია, რომ როცა ღირსმა იოანემ თავისი წმინდა სული მიიბარა უფალს, მცხეთის კათოლიკოსი დაკრძალვაზე მოვიდა „უამრავი სანთლით“, წმინდა ნამეხულის ნეოფიტის, ურბნისის ეპისკოპოსის „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „მუჰამედ აჰმატმა გამოუგზავნა ძღვნად შიო-მღვიმის მონასტრის ხატებს ერთი ურემი საკმეველი და ცვილი, და ითხოვა აენთოთ სანთელი და ელოცათ მისთვის“. წმინდა აბო თბილელის ცხოვრების აღწერაში ნათქვამია, რომ სიკვდილის წინ (786 წ.) მან „განიძარცვა სამოსელი, ბრძანა მისი გაყიდვა და ამ ფულით საკმეველისა და სანთლების ყიდვა, რომლებიც ყველა მკვლეიას დაურიგა...“

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე საქართველოში გავრცელებული ძველი წესი, რომლის მიხედვითაც სიმამრის ან სიდედრის დაკრძალვის დროს სიძეს მოჰქონდა დიდი, კუბოს სიგრძის ცვილის კელაპტარი. ამ კელაპტრის განმკარგულებელსა და მცველს მეკელაპტრე ეწოდებოდა.

როგორც ქართველ გუჯრები გადმოგვცემენ, ზოგიერთი მეფე, თავადი, ვაჭარი და გლეხი ეკლესიის სასარგებლოდ ნებაყოფლობით იბეგრავდა თავს ცვილით. გლეხებს მაგალითად, ავალებდნენ ყოველწლიურად მიეტანათ ეკლესიაში გარკვეული რაოდენობის ცვილი სანთლებისათვის, რის გამოც მათ ათავისუფლებდნენ სხვა ბეგარისაგან. როგორც ერთ-ერთი გუჯარი მოწმობს (1125 წელი) დავით აღმაშენებელმა დიდი შესანიერი გაიღო, ხელახლა მშენებარე ეკლესიის სასარგებლოდ. ეკლესიაში საჭირო რაოდენობის ცვილის მოტანა ვაჭრებს ეკისრებოდათ, როგორც სავალდებულო გადასახადი.

დიდი საეკლესიო დღესასწაულის დროს ღოცვების კითხვისას სანთლებს ანთებდნენ არა მარტო ეკლესიებში, ბინებში, არამედ სამსხვერპლო ცხოველების რქებზეც.

XVI-XVII საუკუნეებში იწყება ახალი ფაზა საეკლესიო სანთლების განვითარებაში. როგორც 1715 წლის გუჯარი გადმოგვცემს, კათოლიკოსი დომენტი მესამე დაპირებია დავით გარეჯის მონასტერს თავისი ქარხნიდან ყოველწლიურად ორი ლიტრი სანთლის გაცემას. გუჯარიდან მოყვანილი ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვაცნობს საეკლესიო ლიტურატივისათვის უცნობ ფაქტს – XVI საუკუნის დამდეგს საქართველოში ქართულ საეპისკოპოსოსთან სანთლის ქარხნის არსებობის ამბავს, რომელიც, უეჭველია დავით გარეჯის მონასტრის გარდა, მზა სანთლებით საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებსაც ამარაგებდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეფე ვახტანგ მეექვსე კანონმდებლის მიერ გადმოცემული ამბავიც „დასტურლამალში“. აქედან შევიტყობთ, რომ ქართლში მეფის საფუტრე გადაეცათ აზნაურ აბუაშვილებს, რომლებმაც, თავის მხრით, იკისრეს ყოველი სკიდან სამეფო ქარხნისათვის ყოველწლიურად მიწოდებინათ ოთხი გორვანქა ცვილი. მაშასადამე, საეპისკოპოსოს გარდა, მეფის კართანაც არსებობდა სანთლის დამამზადებელი ქარხანა.

პეტრე პირველმა 1721 წლის 28 თებერვალს სპეციალური ბრძანებულებით რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას მიანიჭა საეკლესიო სანთლების დამზადებისა და გაყიდვის საგანგებო უფლება. 1804 წლის 18 თებერვალს საქართველოში მაშინდელი მთავარსარდალი თავადი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) საქართველოს კათოლიკოსის ანტონ მეორესადმი მიწერილ წერილში გაეყიდათ მოითხოვდა, რომ სანთლები გაეყიდათ მხოლოდ ეკლესიებში და არა კერძო დუქნებში, სახლებსა და ქუჩებში.

საეკლესიო წესებში აღნიშნულია, რომ ტაძარში ანთებული ცვილის სანთე-

ლი ღმერთისათვის შეწირული ყველაზე სასიამოვნო მსხვერპლია, რადგან იგი წმინდა ცვილისაგან არის დამზადებული. ცვილი, რომელსაც ფუტკრები აგროვებენ კეთილსურნელოვანი ყვავილებისაგან, ნიშნავს, რომ მორწმუნეთა ღოცვას მხოლოდ მაშინ იღებს ყურად უფალი, როცა იგი აღვლენილია ისეთივე წმინდა ფულით, როგორიც ცვილია და ისეთივე კეთილგანწყობით, როგორი კეთილსურნელოვანიც ყვავილია. რად ღირს თუნდაც გამოთქმები, რომლებიც ცვილი წინაპრები მათ საყვარელ ფუტკარს მოიხსენებდნენ: „ღვთის მსახური“, „ცის მშრომელი“, „ღვთის მუმლი“. ცვილის სანთელს კი „წმინდა სანთელს“ უწოდებდნენ. ყოველივე ეს მოწმობს იმ მასალის ხარისხს, რომლისგანაც მზადდებოდა სანთელი და მის მნიშვნელობას საღვთო კულტისადმი მსახურების დროს.

ჩვენი წინაპრები ფუტკრის მოკვლას ცოდვად მიიჩნევდნენ.

ცვილი და სანთელი ხალხურ წეს-ჩვეულებებშიც გამოიყენებოდა, ნაკურთხ ცვილს, მაგალითად, იყენებდნენ როგორც სამკურნალწამლო საშუალებას სხვადასხვა დაავადების დროს.

ქვემო ქართლში განხორციელებული გათხრები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქრისტიანი წინაპრები მიცვალებულთა დაკრძალვის დროს სასახლეზე დებდნენ ცვილის ნაჭრებს. მაგალითად ერთ-ერთი საფლავის ქვის ქვეშ, ნახშირებში, აღმოაჩინეს ცვილის დიდი ნაჭერი, რომელიც ქვაზე გამოკვეთილი ძველი ქართული წარწერით თუ ვიმსჯელებთ, მიწისქვეშ, სულ ცოტა, 800 წელი ყოფილა. ცვილის ეს ნაჭერი 1921 წლამდე ინახებოდა თბილისში ქართული ეპარქიის სამღვდლოების საეკლესიო მუზეუმში. თუ რა ბედი ენია მას შემდეგ, ეს ჩემთვის უცნობია.

სანთლები ანათებენ და კვლავ გვიხმობენ სალოცავად.

რეზა ღვინია

ბალაკტიონი

მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს.
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი, თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ, ჩემს ახლოს აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ, მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით
უფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

საქართველოს ლექსის მახანაქარანი

და მეც მოვკვებ სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამეც სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები:
თუ სიკვდილის სიანხლოვე როგორ ასხვავდრებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ
რომ აღზარდა

სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა:
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

ეკვალბრებისა და ზღვის სურნელებით და ბიჭვინთის მოფარფატე ციცინათელების მზერით. მაშინ გურიის მასწავლებლის შვილს აღმოხდა: – ყველაფერი ერთიანად დალბა. საჭიროა ყველაფრის შეცვლა.

ეს სიტყვები შეიძლება მისი პოლიტიკური კარიერის დასასრული გამხდარიყო. პასუხად კი მოესმა:

ღიან, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

მან აიხედა და დაინახა სულ სხვა თანაგრძნობით სავსე თვალები, ანთებული, როგორც მოულოდნელად ჩართული ნათურები. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დროიდან დაიწყო „პერესტროიკა“.

გურიის მასწავლებლის შვილმა დააფინანსა ანტიდიქტატორული ფილმი „მონანიება“. მას არ უნდოდა, რომ სტალინის სამშობლოს „სტალინისტობის“ დაუმსახურებელი დამლა ეტარებინა.

როცა იგი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს, იმისათვის, რომ ფილმის ჩვენება ზემოდან ნებადართული ყოფილიყო, ძველი დიდაქტორი ტრადიციის მიხედვით, იგი ჯერ სამთავრობო აგარაკებზე აჩვენეს. ფილმმა „ზოგიერთი პორტრეტების“ და მათი ცოლების აღშფოთება გამოიწვია. მართალია, გლობალური ქართველი მოსკოვში ახალი ადამიანი იყო და დედაქალაქის პარკეტზე, როგორც დანადგომს მინდორზე, ისე დააბიჯებდა, მაგრამ იგი აღმოჩნდა თანმიმდევრული და შევიდა გენერალური მდივნის მარჯვენა ხელის კაბინეტში – საზრიან იაროსლაველ გლეხთან, რომელიც ასევე პატარა სოფელში დაიბადა, მხოლოდ მისი მამა მასწავლებელი კი არა, უბრალოდ მიხეცკაცი იყო, დედა კი, საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარი.

იაროსლაველი გლეხი კოჭლობდა, რადგანაც ლენინგრადის ბლოკადის დროს ვოლხოვის ფრონტზე დაჭრეს, მაგრამ ზელოვნებაში იგი არ მოიკოჭლებდა და ზშირად ეხმარებოდა მწერლებს, რეჟისორებს ცენზურის გაცურებაში.

– მე, როგორც ქართველს, მიუხერხებლობა რაიმეს თხოვნა ქართულ ფილმზე...

იაროსლაველმა გლეხმა წარაფად აიტაცა მისი აზრი:

– არც არის საჭირო. ამას თვითონ მივხედავ.

მან იქვე მოიფიქრა, თითქოს კინემატოგრაფისტებმა პირადად მას მორიდებულად სთხოვეს, გაეშვათ ფილმი არა ფართო გაქირავებაში, არამედ საცდელად – სულ სამიოთხი ცალი. შემდეგ კი ცელულოიდის ჩიტი გალიდან გამოფრინდა და მისი დაჭერა უკვე შეუძლებელი იყო. ჩიტი ჩაფრინდა კანში და იქიდან დაბრუნდა ნისკარტში ოქროს რტოთი.

„პუტჩამდე“ გურიის მასწავლებლის შვილმა გააკეთა ყველაფერი, რომ ოკეანე ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დაეწროვებოდა, რომ საბჭოთა ჯარს ავღანეთი დაეტოვებინა, რომ ბოლოს და ბოლოს, ბერლინის კედელი დანგრეულიყო, მაგრამ საქართველოსათვის მას დრო არ ყოფინდა.

ქართველი კლასიკოსის შვილს კი არ ეძინა. იგი ხალხის ცრემლების ტალღამ ზედაპირზე ამოავლო მაშინ, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე ტანკები ავრუხუნდა, დაღვა „ჩერიოტ-მუხას“ სუნის და მესანგრეების

ნინებებისაგან დაიღუპა რამდენიმე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქართველი გონა. ამით დაამთხეს დემონსტრანტები, რომლებიც დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ.

ქართველი კლასიკოსის შვილს უნდოდა მიეღწია იმისათვის, რაც მამამ ბავშვობაში უწინასწარმეტყველა („შენ საქართველოს მეფე გახდები“), მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, გადაწყვიტა საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო.

საარჩევნო კამპანიის დასაწყისში, საექვო ვითარებაში, საინტელობილო ავარიამი დაიღუპა ციხიდან „პერესტროიკით“ განთავისუფლებული სახალხო ტრიბუნი. შარლოტა კორდე, რომელიც ამავე მანქანაში იჯდა, მოტეხილობით საავადმყოფოში აღმოჩნდა.

როდესაც ქართველი კლასიკოსის ვაჟს ოპონენტები ნიშნის მოგებით ეკითხებოდნენ, თუ რატომ მოინანია მან საჯაროდ, იგი პასუხობდა, რომ გააკეთა ეს სახალხო ტრიბუნთან შეთანხმებით, რათა გარეთ გაეგრძელებინა ბრძოლა.

შესაძლებელია, ასეც იყო, მაგრამ სახალხო ტრიბუნი მკვდარი იყო და ვერ დაამოწმებდა მის სიტყვებს. შარლოტა კორდეც კი ეს უარყო.

მიუხედავად ამისა, ქართველი კლასიკოსის შვილი გახდა კანონიერად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი და გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

მაგრამ, უცბათ აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება სხვადასხვა რამეა. ყოფილი დისიდენტი, სიტყვის თავისუფლებას და, განსაკუთრებით, მისი მისამართით თქმულ კრიტიკას, თურმე ძალიან ნერვიულად ეკიდებოდა. მან დაიწყო ქართული გაზეთების დახურვა, დაითხოვა უცხოელი და მოსკოველი კორესპონდენტები. პარა-ოქსია, მაგრამ თვითონ თავისუფლად მოაზროვნე და ინტელიგენტი, ვერ იტანდა თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენტებს და მათ „კრიმინალური ინტელიგენცია“ უწოდა. უდიდესმა მწერლებმა, რეჟისორებმა, მას თანდათან ზურგი შეაქციეს. ზოგიერთ უცხო სახელმწიფოს ცუდად იხსენიებდა და მათთან ვერანაირი დახმარება ვერ მიიღო. კონფლიქტი მოუვიდა საკუთარ გვარდებლებთან.

იგი დარწმუნებული იყო, რომ თითქოს ყველაფერი მოუწყო დაუძინებელმა მტერმა, რომელიც მოსკოვიდან ყოველ მის ნაბიჯს ჭოგობით უთვალთვალებდა.

ქართველი კლასიკოსის შვილი, რომელიც მთელი ცხოვრება ხელისუფლებას ებრძოდა, ამჯერად თვითონ იყო ხელისუფალი და გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ იგი ისევე ეყვარებოდათ, როგორც დისიდენტობის დროს. როცა ახალგაზრდა იყო, მას კიდევ არ ესმოდა ოპოზიციონერობის მთელი სიმწერნიერე, როდესაც გითვალთვალებენ და შეუძლებლად დაგაპატიმრონ, მაგრამ სამაგიეროდ გმირად გთვლიან, გადმერთებენ, თავს გვევლებიან.

ხელისუფლებისაგან დევნილებს ადამიანები იდეალურად სახავენ და ბევრს პატიობენ. მაგრამ ადამიანები არაფერს პატიობენ ყოფილ დისიდენტებს, რომლებიც თვითონ არიან ხელისუფლებაში. ძალაუფლება მასწავლებელს გველს წააგავს, ჰიპნოზს უკე-

თებს მხოლოდ ადამიან-ბოცვერებს. ძალაუფლება ყველაზე დიდი მაგნიტია, რომელიც იზიდავს შურს, უნდობლობას, ბოდმას.

გურიის მასწავლებლის შვილმა, ეს მთელი სიმძაფრით თავის თავზე იგრძნო ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი გლობალური ქართველი გახდა.

მას ძალიან უნდოდა სამშობლოში დაბრუნება და, ამავე დროს, ძალზე ორჭოფობდა. სწორედ ამის გამო, იღვა აივანზე ორასი ათასი ადამიანის წინაშე და გრძობდა, რომ უფსკრულის წინ დგას.

„ვის ვეტყვი გენაცვალეს, როდესაც დავბრუნდები? ვინ მეტყვის გენაცვალეს? როგორი საზარელია შეცდენა იმათში, ვისაც გენაცვალეს ეუბნები!“

და თითქოს შურს იძიებდა მათზე, ვინც იგი აიყვანა ძალაუფლების მიშველ და ცივ მწვერვალზე, საიდანაც მკვირვარე ქარები ადამიანებს უფსკრულში ანარცხებენ. გლობალურმა ქართველმა უმოწყალოდ თქვა ისეთი რამ, რისგანაც ორასათასიანმა ბრბომ ამოიგმინა: „პუტჩისტებს უნდა მოეთხოვოთ, საშუალება მოგვცენ დავინახოთ და მოვუხილოთ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს. თუ იგი შინაპატიმრობაშია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მის გადასარჩენად, და თუ ის გამცემია, არ არსებობს პატიება!“

და უცბად, შორს, მრავალი ათასი კილომეტრის იქით, მან დაინახა მწვანე, წვრილი, თითქმის გამჭვირვალე წიწმანის ფოთოლი, რომელიც წყალზე ირჩებოდა.

მთიარა რა მთელი მსოფლიო, გლობალური ქართველი სამი წლით განშორების შემდეგ ერთი დღით თავის სოფელში მშობლების სახლს ეწვია. მას გაუჩნდა გრძნობა, რომ მშობლიური ეზოს მიწის მიზიდულობა უფრო ძლიერია, ვიდრე უბრალოდ მიწის მიზიდულობა.

მშობლიური ეზოს მიწა ქათმის და ძაღლის ნაკვალევით, ღობეზე მიყუდებული თოხით, დეიდის რეზინის „კალოშებით“, რომელშიც ჩამკვრალიყო და ვეღარ ამოდიოდა ღუნულა წიწილა, ბალახებში ჩაგარდნილი ლეღვის ლილისფერი ნაყოფით, რომლის ალისფერ ნახეთქებში ფუთოფუთებდნენ ზოლებიანი კელები, – ეს მიწა იჭვრდა, იზიდავდა, არწმუნებდა, არ წასულიყო, რადგანაც ვერც ერთი სხვა მიწა ვერ გაგიგებს ისე, როგორც მშობლიური ეზოს მიწა, რომლის ზედაპირზეც, თუ დააკვირდები, ყოველთვის მიდი-მოდინ, ირწვეიან, ლივილივებენ უკვე დიდი ხნის წინათ წასული დედ-მამისა და საკუთარი, ბავშვობისდროინდელი ჩრდილები.

დიდ ოთახში, მერვე სართულზე, სადაც ოდესღაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა, სიცარიელე იყო და ვარცხილი, სუფთა ხის იატაკზე შრებოდა თხილი, მოოქრული მზისაგან, რომლის სხივებიც კომპისა და ზურმის ტოტებს შორის ფანჯარაში იღვევებოდა. მაგიდაზე იდო ლანჩხუთელი ბაზრის ფოტოგრაფის მიერ უხეშად რეტუშირებული დედასა და მამის პორტრეტები. ისინი შიშით მისჩერებოდნენ თავიანთ ვაჟს, რომელმაც ისეთ საშიშ. ცრუ და უმადურ საქმეს მოჰკიდა ხელი, როგორც არის პოლიტიკა.

ჯერ კიდევ ბავშვობისა იგი იატაკზე გაშლიდა ხოლმე მსოფლიო გეოგრაფიულ რუკას, იწვა ხედ და ხან აფრიკას ეკვროდა

ლოყით, ხან ცნობისმოყვარე ცხვირს ატაკებდა პარისს, ხან იდაყვით დაეყრდნობოდა ნიუ-იორკს, ხან შიშველ ფეხს იტალიურ ჩექმას აზმანებდა, ხან ხელს უთათუნებდა ბრაზილიას, ხანაც თითოთ ფრთხილად ეხებოდა პოლუსს.

ერთხელ, როდესაც სოფლის სკოლაში მოაწყვეს საღამო „ვინ მინდა ვიყო?“, პატარა ქართველი წამოხტა და ბავშვური გულბრუნვით წამოიძახა:

- საგარეო საქმეთა მინისტრი!

ყველას გაეცინა.

ასეც მოხდა.

- დროა, წავიდეთ, - მორიდებით წაუჩურჩულა მისმა თანაშემწემ, რადგანაც დაინახა, რომ დედ-მამის პორტრეტებს დიდხანს გაყურებული შესცქეროდა, თითქოს ესაუბრებოდა. გაახსენდა, ერთხელ, ბავშვობაში მამამ რომ ჰკითხა:

- შენ კარგად გესმის, რას ნიშნავს ჩვენი ქართული სიტყვა „გენაცვალე“?

- კი... მეგობარი, უფრო მეტიც, რაღაც ძმადნაცვალის მავარი, - უპასუხა ბიჭმა.

- ძირითადად სწორია, ამ სიტყვის ძველთაძველი მნიშვნელობა ზუსტად არას გამოხატავს: „განსაცდელში შეგენაცვლები“... გენაცვალე ის ადამიანი, ვისაც შეეწვევებოდა, თუკი მას გაუჭირდა, - აუხსნა მამამ და შეიღმა ეს სამუდამოდ დაიხსომა.

- შენ რატომ არ მეუბნები გენაცვალეს? - მოულოდნელად შეეკითხა თავის თანაშემწეს:

შენ ხომ ნახევრად ქართველი ხარ. შენ არა ხარ მზად განსაცდელში რომ შეგენაცვლო?

ის ერთი წუთით დაიბნა, მაგრამ აზრი მოიკრიბა.

- სუბორდინაცია არ მამდევს უფლებას, ასე რომ მოგმართო, მაგრამ გაჭირვებაში შესანაცვლებლად მზად ვარ. თუმცა, ეს თქვენ შეიძლება ვერც შენიშნოთ.

- როგორ? - ჩაეკითხა გლობალური ქართველი.

- თქვენ ძალიან დაკავებული ხართ, - ორჭოფულად უპასუხა თანაშემწემ და ლაპარაკი საქმიან თემაზე გადაიტანა. - მოგვიხილეთ დროის შეკვეცა ლანჩხუთში ადგილობრივ უფროსობასთან სადილზე, თუმცა საქართველოში მოგეხსენებათ, ეს ადვილი არ არის.

შემდეგ „იაკით“ - თბილისის აეროპორტში, იქიდან კი - პირდაპირ მოსკოვში.

- თბილისში არ გაქნრდებით? - იკითხა გლობალურმა ქართველმა, - სულ ცოტა ხნით. აღდგენილი ძველი თბილისის სანაპიროთი მაინც გავიაროთ. ბოლოსდაბოლოს, ამაში ხომ ჩემი ხელი ურევია.

- არ გამოდის, - ხელები გაშალა თანაშემწემ. - ზუსტად ოთხ საათზე უნდა გავფრინდეთ. ექვს საათზე „სტარაია პლოშადზე“ (სკკპ ცკ კვარტალი. - რედ.) გელოდებათ გენერალური მდივანი. ხვალ კი დილის შვიდ საათზე ტალიანდის გავლით ინდონეზიაში მივფრინავთ.

გლობალური ქართველი ოხვრით და-მორჩილდა. ის, ვინც პოლიტიკას ირჩევს, ირჩევს თავისი ქვეშევრდომების მონობასაც.

მეორე სართულიდან ეზოში ჩამოვიდა ხის კიბით, რომელიც ისევე ჭრატუნებდა,

როგორც მის ბავშვობაში, მაგრამ ჭიშკრი-საკენ კი არ წავიდა, სადაც სახელმწიფო მანქანები შავად ლაპლაპებდნენ, არამედ შუაგულ ეზოსაკენ გაემართა. დაცვა აღელვებულ და გაოცებული ფხიზლად გაჰყვა უკან.

მიუახლოვდა გრანიტის დამსკლარი ქვე-ბით მოპირკეთებულ წყაროს, რომლის ხავ-სმოკიდებულ ნაბრალეებში ბალახი და ბაიას ყვითელი ყვავილები იზრდებოდა. თუთიის მილიდან წყაროს ყინულივით ცივი წყალი მონ-უხჩუხებდა.

ამ ნაკადის ქვეშ, ეტყობა, დიდი ხანი არ იყო გასული, რაც მწვანელი გაერეცხათ და პაწაწკინტელა ტბის ბროლის ზედაპირზე ირხეოდა წიწმატის ფოთლი, ფსკერზე კი წითელ ნათურასავით ანათებდა ერთი ცი-ქნა ბოლოკი.

უცბად გლობალურმა ქართველმა ფსკერზე რაღაც შენიშნა. მან ფრთხილად ჩაჰყო ხელი და ძველებური, ვერცხლის ჩაის კოვზი ამოიღო, რომელიც ბებიამ ბავშვობი-სას აჩუქა. ოდესღაც ორმოცდაათი წლის წი-ნათ, ბებიამ მას ამ კოვზის დაკარგვისათვის მაგრად მოსცხო. კოვზი კი არ იყო დაკარგუ-ლი, მთელი ნახევარი საუკუნე უცხო თვალს ემაღებოდა, მაგრამ დაინახა მისი დალილი თვალები და მაინც იცნო, აელვარდა, ხელში ალბა ითხოვა.

იგი დაიხარა, სცადა ტუჩებით დაწაფე-ბოდა წყაროს ნაკადს, მაგრამ, ვიღაცის არც თუ ცერემონიულმა ხელებმა წყაროს მოაცი-ლა.

ეს იყო დაცვის უფროსი. ადრე იგი გრო-მიკოს, ახლა კი მას თვალს არ აშორებდა.

- არ შეიძლება!

- რა არ შეიძლება? - იკითხა გლობა-ლურმა ქართველმა და სცადა სიბრაზისაგან თავი შეეკავებინა.

- პოლიტიბუროს წევრებს შეუმოსმებე-ლი წყლის დაღვევა ეკრძალებათ. ინსტრუქ-ციის მიხედვით არ შეიძლება. ვინ იცის, რა მიკრობებია შიგ.

- ეს ჩემი ბავშვობის წყაროა! - აღშფო-თება ვერ დამალა გლობალურმა ქართველ-მა და წყნარად დაუმატა ქართული სიტყვა - წყარო!

- გამაგრებული ხარ სისქელები. სწრა-ფად!

ექვსიდან ერთ-ერთი მანქანისაკენ გაიქ-ცა, ქოშინით მოიტანა და გახსნა პენოპლას-ტის ყუთი-თერმოსი. შიგ ყინულებში ჩაფ-ლული საბჭოთა პეპსი, ფანტა, ლალიძის ლი-მონათი, ესენტუკი-17, „ბორჯომი“ იღო.

მაშინ, პირველად თავის ცხოვრებაში, იგი მიხვდა, რომ ყველა პოლიტიკოსის ცხოვრება ძალაუფლებისათვის ბრძოლის მეტი არაფერია. გლობალურმა ქართველმა ნაღვლიანად გაიფიქრა:

„რა საჭიროა მთელი ეს ბრძოლა? იმი-სათვის, რომ ამიკრძალონ ბავშვობისდრო-ინდელი წყაროს წყლის დაღვევა?!“

მაგრამ პროფესიის შეცვლა უკვე გვიან-და იყო!

ნინოფინდის ლაქი

ნინონმინდა... პალატები მეფეთა...

გალავანში - ჯამი აქაფებული:

შენი სახე რისთვის შემომეფეთა,

ხატი იყავ - ვეფხვი დაქალბებული...

საზანდარმა ღამე ააცახცახა,

ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,

ცა - ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,

და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ნინონმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...

ოჰ, იმ ღამეს, როგორ აგვაბრიალა,

საქართველოს ლექსის მხანაძეარენი,

ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,

სიყვარული ისე დამჯახებია.

მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს

და სიყვარულს ათაბაგის ქალისას:

ძუძუები - ოქროს კალმახებია,

წამნამები აქვს თავთუხის ყანისა...

ნინანდალის ვაზი აყვავებული,

ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,

აფრენილი ბაზიერის დაფითა,


ღურაჯი ხარ, მაცვალს შეფარებული!

ნინონმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები,

ოჰ, იმ ღამეს, როგორ აგვაბრიალა,

საქართველოს ლექსის მხანაძეარენი:

ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!



ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი - პარიზელთა ქართული რძალი

ნუნუ კუპრაიშვილი

„ჩვენს რიგებში არიან თავისი საქმის პროფესიონალი ახალგაზრდები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა განათლება უცხოეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში მიიღო. ისინი დაბრუნდნენ საქართველოში, რათა თავიანთი ნიჭი, ენერჯია და ცოდნა სამშობლოს სამსახურს მოახმარონ.“ - ითქვა „მოქალაქეთა კავშირის“ წინასაარჩევნო მანიფესტში.

დღეს ეს ახალგაზრდები საქართველოს პარლამენტის წევრები არიან, „ერთ პრინციპებზე და ერთ სახელმწიფოებრივ ხედვაზე გაერთიანებული გუნდის“ სრულუფლებიანი ხმები.

მათ ენდობიან, მათზე იმედებს ამყარებენ, ახალთაობათა მეწინავეებად ესახებათ. ჯერი მათზეა. ნდობას გამართლება უნდა, გამართლებას კი დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება.

პარლამენტის ახალ თაობას, უფროსი თაობის მხარდამხარ, შესწევს უნარი წინაღობათა დაძლევისა, ახალი სიმაღლეების წვდომისა, უკეთესი მერმისის შენებისა.

ამ ნარკვევის გმირი ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარია, ჩვიდმეტმანდილოსანთაგან ყველაზე „პატარა ქალბატონი“, რომელსაც საპარლამენტო ასაკი - ოცდახუთი წელი, არჩევნებამდე ათი დღით ადრე - 21 ოქტომბერს შეუსრულდა. კიდევ ერთი საგულისხმო სტატისტიკა: თამარ ნინოშვილსა და პარლამენტის ყველაზე მცხოვრებ წევრს შორის სხვაობა მთელი ნახევარი საუკუნეა.

უფროსი თაობის, რომლებიც თითქოს საგანგებოდ ჩამოუყვანიათ თავიანთი სიმბოლური კვარცხლბეკიდან თანამედროვე თაობასთან შესახვედრად, ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების შეჯერება ახალთაობათა გაბედულ და ახლებურ აზროვნებასთან, იმედია, მრავალი სასიკეთო ძვრებისა და სიახლეთა დანერგვის საწინდარი გახდება.

თვალ-ყური მივაღებთ ახალ სახელებს.

● პირისპირ შეხვედრამდე რამდენჯერმე ტელეფონით ვისაუბრეთ. პარლამენტის სხდომები ახალი დაწყებული იყო. გამძლედა თავისუფალი დროის გამოხატვა.

უფრო ადრე კი რადიოთი მოვისმინე მასთან პირველი ინტერვიუ. დღეაღია, ხმა უთრთოდა, მორიდებით საუბრობდა.

- ბოლოს ერთს დავძენ, - აღნიშნა ინტერვიუს დასასრულს წამყვანმა, - თამარ ნინოშვილი რადიოში მამის თანხლებით მოვიდა.

ცოტათი შეეცბი, თუმცა, რომ დავფიქრდი, გასაცარი არაფერი იყო. თამუნამ ზომ რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ მე-თერთმეტე კლასის მოსწავლემ, დატოვა თბილისი და მას შემდეგ სტუმრად თუ უწყვედა ჩამოსვლა, ისიც მცირე ხნით.

დათქმულ დროს ევროპული სიზუსტით მოვიდა.

თვალებს არ ვუჯერებდი. ჩემს წინ სრულიად ბავშვური შესახედაობის, მკვირცხლი და საოცრად ნაზი „ნუკრის-თვალეზა გოგონა“ იღვა.

ეს „გოგონა“ უკვე პარლამენტარიც იყო და ხუთი თვის სალომეს დედაც.

სასიამოვნო მოსაუბრე, ზრდილი, თავაზიანი, განათლებული, თავმდაბალი და მოკრძალებული, - ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება.

შეკითხვებზე უბრალოდ და გულდაიდ პასუხობდა. თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია გაგვაცნო:

- მაშინ 23-ე სკოლის მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი; უცხო ენების ინსტიტუტში საერთაშორისო-საქველმოქმედო ორგანიზაციის - „როტარი კლუბის“ კონკურსი ჩატარდა. მასში მონაწილეობა ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ვაკზდი „მსოფლიო მშვიდობის ჯილდოს“ მფლობელი, რომელიც სამკვირიან მოგზაურობას ითვალისწინებდა საფრანგეთში. იქ ჩასულს კი სწავლის გასაგრძელებლად სხვა კონკურსში შემომთავაზეს მონაწილეობის მიღება. პასუხი მიწვევაზე, მოგვიანებით, ერთი წლის შემდეგ მივიღე.

1992 წელს საკმაოდ მძიმე ვითარებაში დავტოვე იავარქმნილი თბილისი და სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთში გავემგზავრე.

ლაროშელის ლიცეუმში წელიწადსა და სამ თვეში დავამთავრე ბაკალავრის წოდებით. დროის ამ მოწინავეთაში თორმეტი ფრანგული ოჯახის შეცვლა მომიხდა. ამას

პროგრამა ითვალისწინებდა. გარდა ამისა შაბათ-კვირას კიდევ სხვა ახალ ოჯახებს ვეცნობოდი. ვიმოგზაურე საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში. ასე რომ, საფრანგეთიც და ფრანგებაც საკმაოდ საფუძვლიანად გავიცანი და მათზე არც თუ ურიგო შთაბეჭდილება შემექნა.

- ისინი თუ იცნობდნენ საქართველოს, ან რა იცოდნენ ჩვენს შესახებ? - საუბარი გავაწყვეტინე თამუნას.

- იმ წლებში, ვისთანაც მე მიხდებოდა ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, ნაკლებად, ან სრულებითაც არაფერი იცოდნენ საქართველოზე. გამონაკლისი მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტი გახლდათ. საკმარისი იყო, მისი სახელი მეხსენებინა, უკვე დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენდამი.

მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, მისი ისტორია და კულტურა. რამდენჯერმე ლექცია-საუბრის ჩატარებაც მოხოვეს ამ თემაზე. სიამოვნებით ვასრულებდი ჩემთვის მეტად საპატიო მისიას. გამოვიტყდებით, პატრიოტული გრძნობა ადრეული ასაკიდან გამიჩნდა და მის განსაზოგადოებლად შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი, - კმაყოფილების გრძნობით აღნიშნა ახალბედა პოლიტიკოსმა.

იტყვება რეალობად იქცა.

1993 წელს თამარ ნინოშვილი ლაროშელის უნივერსიტეტის ოურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ამის შემდეგ კი მის ცხოვრებაში „ზღაპრის მაგვარი საოცარი ამბავი“ ხდება.

საფრანგეთის ტელევიზიის ერთ-ერთი არხით, რომელსაც ის თავისუფალ დროს ხშირად უყურებდა, უმაღლესი სკოლის 200 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო გადაცემა იყო. თამუნას ყურადღება ახალგაზრდა ისტორიკოს-სოციოლოგმა მანუელ პლუვინაჟმა მიიქცია, იგი გატაცებით საუბრობდა საქართველოზე. როგორც მისი საუბრიდან გაირკვა, ახალგაზრდა მკვლევარი დაინტერესებულია ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ბუნებრივი საფარით. სადიპლომო თემაზე მუშაობისას იგი ამ მიმართებით საკმაო ლიტერატურას ვაცნობია. მისი ოცნება იყო სამხრეთის ქვეყნების, კავკასიის ფლორის უფრო ღრმად შესწავლა. დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში ჩამოსვლისა.

მოგვიანებით, როცა თამუნა პარიზს ეწვია, გარდა ამ ზღაპრული ქალაქის ხილ-

ვისა, მეორე, არანაკლები სურვილი, ამოძრავებდა. ახლოს გაცივო საქართველოთი დაინტერესებული ფრანგი ყმაწვილი და დახმარება შეეთავაზებინა. მაგრამ მანუელი იმ დროს სადიპლომო თემაზე მუშაობდა და გასული იყო ქალაქგარეთ.

თამუნა საკმაოდ გულდაწყვეტილი ტოვებს პარიზს.

მაგრამ განგების წყალობით და ნებით, მოსახლენი მაინც მოხდება. იგი კვლავ შეაგროვებს სამგზავრო ფულს და ამჯერად დის დასახვედრად ისევ მიაშურებს პარიზს.

და აი, საკვირველებავ! დასთან ერთად თვითმფრინავით ჩამოსულ მგზავრებს შორის თამუნა თავისი „ოცნების მხეჭაბუკს“ შეიცნობს, რომელიც საქართველოდან მეორედ ბრუნდება.

ისინი აეროვაგზლიდან პარიზამდე ერთად იმგზავრებენ. ასე დაწყებული ნაცნობობა დღითიდღე ღრმავდება და საბოლოოდ მათი ქორწინებით დაგვირგვინდება.

თამარ ნინოშვილი 1995 წელს სორბონის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. თრი წლის შემდეგ ამთავრებს მაგისტრატურას. სადიპლომო თემად მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს პარლამენტის მუშაობას აირჩევს.

– მაინც რამ განაპირობა ამ თემის არჩევანი? – ვკითხვ თამუნას.


– ალბათ, იმან, რომ საპარლამენტო სამართალში ძალიან კარგი ლექტორი მყავდა, მაგრამ მიუხედავად ზოგადი თეორიული ცოდნისა, მაინც საკმაო პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი. ჩვენი პარლამენტის მუშაობას მხოლოდ ტელევიზიით ვიცნობდი, ისიც ზაფხულის სასესიო არდადეგების მცირე მონაკვეთით, არ გამაჩნდა არც სათანადო წყარო და საფუძველი. მე მაინც ვთვლი, რომ აქაც ბედმა გამიღიმა, იმიტომ რომ ვკვირვებთ გვიყვება „პატარა“ პარლამენტარი.

„ბედის ღიმილი“ იმაში გამოიხატა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უცხოელ ინვესტორებთან გამართულ შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად პარიზში ჩასულ მიხეილ სააკაშვილს შეხვდება.

– ბატონ მიხეილს მხოლოდ ტელევიზიიდან ვიცნობდი. მისი გამოსვლა საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმას შეეხო, რამაც შეხვედრის მონაწილეობა დიდი ინტერესი გამოიწვია. მე მხოლოდ მოვიყვანებო, როცა ის დამსწრეთა „ტყვეობიდან თავდახსნილი“ შენობიდან გამოვიდა, ძლივს მოვახერხე მასთან შეხვედრა მეუღლესთან ერთად, რომელიც გარეთ მელიძეობდა.

ძალიან გულთბილად შემხვდა, – კმაყოფილებით მოვიტონა თამუნამ, – ჩვენი საუბარი დიდხანს არ გაგრძელდებულა, თუმცა ამ შეხვედრამ, შეიძლება ითქვას, მთლიანად განსაზღვრა ჩემი შემდგომი გზა. ბატონმა მიხეილმა გაცნობისთანავე შემომთავაზა პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

თამუნას მაშინ ამაზე სერიოზულად არც უფიქრია. თუმცა ის საქართველოში



ჩამოდის და საპარლამენტო მუშაობას უფრო ახლოდან ეცნობა. ამაში დიდად ეხმარება პარლამენტის ბიბლიოთეკის მასალები და კონსულტაციები ბატონ ზურაბ შვანიასთან და ბატონ მიხეილ სააკაშვილთან. როცა მან სადიპლომო ნაშრომი დაიცვა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წამყვანი სპეციალისტი იყო.

თამარ ნინოშვილი პარალელურად მონაწილეობას ლებულობდა საფრანგეთის სენატის მუშაობაში და სორბონის უნივერსიტეტის ასპირანტურაშიც განაგრძობდა სწავლას. პარიზში მას მოსიყვარულე მეუღლე და ცხოვრების ერთგული მეგობარი ჰყავს. თამუნა და მისი მეუღლე პატარა სალომესთან ერთად ჯერჯერობით „ცაში გამოკიდებულ“ ცხოვრებას ეწევიან. თავად განსაჯეთ, მათი პატარა შვილი, რომელიც ჯერ წლისაც არაა, უკვე თორმეტჯერ გადაუფრენს შორეულ ლაყვარდოვან სივრცეს.

საფრანგეთის უნივერსიტეტის ლექტორი და ვერსალის სამეფო პარკის ღირექტორი მანუელ პლუვინაფი მზადაა, ხელი არ შეუშალოს მეუღლის კარიერას და პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოვიდეს თბილისში დასამკვიდრებლად. მანამდე კი მშობლებისა და დის ხელშეწყობითა და სითბოთი ვარემოცული ადვილად ართმევს თავს შვილის მოვლასა და პარლამენტში მუშაობასაც, მოთმინებით ელის იმ დღეს, როცა ყველანი ერთად იქნებიან.

მანამდე კი საფიქრალ-საზრუნავს რა გამოუღვევს.

უმცროსი პარლამენტარი იურიდიულ და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრია. ეს მისი საპარლამენტო მუშაობის დასაწყისია.

კარგი დასაწყისი კი საქმის ღირსეულად განგრძობის საწინდარია.

– როდის იყავი ყველაზე ბედნიერი? – გვერდი ვერ ავუარე ამ შეკითხვას.

ასეთი დღეები მრავლად მქონდა, როცა ბედი ჩემს მეუღლეს დაუუკავშირე, როცა შვილი შეგვეძინა, რაოდენ პათეტიკურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბედნიერი ვიყავი მაშინაც, პარლამენტის პირველ სხდომა-

ზე საქართველოს ჰიმნი რომ გაისმა. მაშინ ჩემი გულის კარნახი და ემოციური მუხტი იმდენად ძლიერი იყო, მე, როგორც დედამ, ვირწმუნე, რომ ჩვენი შვილები ბედნიერ და უღრუბლო საქართველოში იცხოვრებენ, – თქვა თამუნამ და ღიმილით დასძინა – მე მაშინაც ბედნიერი ვარ, როცა სხდომებს გულდამშვიდებული ვესწრები და არ მეშინია, რომ ამ დროს ჩემი სალომე მშვიერი დარჩება. ჩემს დას – ნიას, რვა თვის ბავშვი ჰყავს და როცა მე შინ არა ვარ, ჩემს შვილსაც ტუქუს ის აწოვებს.

წუთით ჩაფიქრდა, სახეზე თითქოს ბედნიერების ღიმილმა გადაურბინაო და ისევ განაგრძობს:

– მე მაშინაც ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი ხალხი დაიბრუნებს იმ რწმენას, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრმა დაკარგა; სახელმწიფოსადმი, მისი წარმმართველი ძალისადმი განხლება მეტი ნდობა. ის პროგრესი, რომელიც ხალხმა საგარეო ურთიერთობაში იგრძნო, ქვეყნის შიგნითაც ასევე საგრძნობი გახდება. ქართველ ხალხს, თუკი ისინი ერთ მუშტად შეიკვრიბიან, აქვს იმის უნარი, რომ საქართველო გახდეს სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფო და ადამიანებმა თავი მის სრულყოფილებიან ბატონ-პატრონად იგრძნონ.

მე ყველაფერს გააკეთებ იმისათვის, რომ პატარა წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის წინსვლაში.

თამუნამ დაამთავრა სათქმელი და ვირწმუნე, რომ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები! საათს დახედა, აჩქარდა. ბავშვის კეების დრო ახლოვდებოდა.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბონდო დვალიშვილმა აპარატი მოიმარჯვა. თმის მოსაწესრიგებლად სტუმარს რედაქციის „ანტიკვარული“ სარკე მივაშველეთ.

პარიზელთა ქართველ რძალს გაცინა: – იცით, რა? – შემოვცვინა მხიარულად, – საფრანგეთში პარლამენტარებს თავისი პარიკმახერი ჰყავთ.

ყველას გაეღიმა. ვინ იცის, იქნებ, არც ჩვენგან იყოს ის დღე შორს!



ორშაბათი... ყველაზე მძიმე დღეა

ეს გიგამ მაშინ გადაწყვიტა, როცა ერთ დღეს მამა ეახლა მას ოთახში და უთხრა: დამიჯერე, შეილო, კავშირგაბმულობა ყველა ცივილიზებული ქვეყნის მომავალია...

ახლა როცა დრო გადის, უფრო და უფრო რწმუნდება ამაში. არა და იგი ბავშვობაში, მერეც სიჭაბუკეში, კოსმონავტობაზე ოცნებობდა. უნდოდა გასცდენოდა მიწის მიზიდულობას და უბრალოდ, იქ მოზინადრე სულად ეგრძნო თავი, ვარსკვლავებს შორის ეცხოვრა, სადმე თავის პლანეტაზე, როგორც ეგ ბიუპერის პატარა უფლისწულს. უფლისწულის ღიმილი დასთამაშებდა ამ ბიჭუნას ტუჩებზე. ახლაც შერჩენია ეს ღიმილი მას.

ვინ არის იგი დღეს?

ერთი სამინისტროს ჩვეულებრივი მოხელე, საზოგადოება ფუნქციონერებს, ჩინოვნიკებს რომ უწოდებს ჩვენში. მას ვერც შინ მოიხელთებ, ვერც სამსახურში.

– არ გახლავთ, დაკავებულია, ობიექტზეა, თათბირზე მინისტრთან გახლავთ, მერიაშია, უცხოელები ჰყავს, – პასუხობს ტექნიკური მდივანი.

– კი, მაგრამ კვირა დღეს მაინც ხომ აქვს ამ კაცს დასვენების უფლება?

დიას, მაგრამ თუ შენი საქმე გიყვარს, თუ ადამიანების ბედი განუხებს, მაშინ...

ორშაბათს, მიღების დღეს მიბრძანდით კავშირგაბმულობის სამინისტროში, მინისტრის მოადგილესთან – გიორგი კარბელაშვილთან და თქვენ თვითონვე დარწმუნდებით, რომ მართლა არ არსებობს თანამდებობა, რომელსაც შეუძლია სიკეთე დათრგუნოს.

მოსაცდელში დიდი რიგია. ვის არ შეხვდებით აქ, ნაცნობს, უცნობს, ახალგაზრდას, ღრმადმოხუცებულს. ვიდრე მინისტრის მოადგილესთან შევიდოდნენ, გარეთ თავიანთ გასაჭირსა თუ სიხარულს უზიარებენ ერთმანეთს.

იმას რა ვუთხრა, ვინც ეს მობილური ტელეფონი მოიგონა. ხუთი ახალგაზრდა მყავს სახლში, ახლა ამათი ამფსონებიც დაამატეთ. მოვლენ, რეკავენ, ალთას, ბალთას, გაუთავებლად ლაპარაკობენ. იმას არ დაეძებენ, ვინ გადაიხდის ამის საფასურს. ჰოდა, დავალიანება გაქვსო და გამითიშეს. მე როგორ გადავიხადო? პენსია წელიწადია არ მიმიღია, ჩემს შვილებს ხელფასი ვერ მოაქვთ. სტუდენტებს სტიპენდია არ ეძლევათ. საიდან გავაჩინო

ფული? ვიჭურდო? კაცი მოვკლა? არადა, ნამალივით მჭირდება ტელეფონი. მეუღლე მიწვევს საავადმყოფოში ხუდადოვზე. მასთან ყოველდღე რომ ვიარო, ამას ჩემი კი არა, სახელმწიფოს ბიუჯეტი ვერ განვდებ. ჩემს დედაკაცს ხმაც თუ არ გავაგონე, ხომ შეიშალა? – ჰყვება ხანშიშესული მამაკაცი.

– შებრძანდი, სთხოვე და დაგეხმარება, არც მე მადგა რიგზე უკეთესი დღე... მერე რა, გიშველა?

– მომისმინა. გამომაცილა კარებამდე და მანუგემა. ვეცდები, ახლო ხანში მოგიგვარო ყველაფერიო და იცით რა მითხრა? თუ თქვენს ნაცნობ-მეგობრებში ვინმეს პრობლემა აქვს კომუნიკაციასთან დაკავშირებით, გამოგზავნეთ, დაგეხმარებით.

– აი, მესმის კაცი.

– უფრო მეტს გეტყვით. საქმე რომ მომიგვარა, დამირეკა, თავად შეამონმა, ჩამირთეს თუ არა ტელეფონი.

– ვინ არის რიგში პირველი? – კითხულობს ტექნიკური მდივანი.

– მე გახლავართ, – ამბობს ქერათმიანი ქალიშვილი.

– თუ შეგიძლიათ, ქალიშვილო, დამითმეთ რიგი, მადლობის სათქმელად ვარ მოსული. ერთ სიტყვას ვეტყვი და უკან გამოვბრუნდები.

– მეც ერთი სიტყვა მინდა ვუთხრა – მადლობთ, – ისმის უკანა რიგიდან.

– მეც მადლობის სათქმელად ვარ მოსული, – გაიძახის რიგიდან ვიღაც.

– ყოჩაღ, ბიჭო! – ვამბობ ჩემთვის გულში და სიამაყით ვივსები – მინდა ვუთხრა აქ მსხდომთ, რომ ბავშვობიდან ვიცნობ ამ ახალგაზრდას. იგი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გამოირჩეოდა ყველაზე სავან სიბეჯითით და იყო არაჩვეულებ-

რივი კეთილი. მისი დედა, მშვენიერი ქალბატონი იავნანა, ჩემი მერხის მეგობრის, ამქვეყნიდან ადრე წასულის დოდო ბერიძის დაა, მამამისი ჩვენი კოლეგაა – ცნობილი ჟურნალისტი ანდრე კარბელაშვილი, მისი პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები დღესაც იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

– ყოჩაღ! დღევანდელ დღეს ოც კაცში ერთის გული რომ მოიგო, განა, ეს ცოტაა? დღეში ერთი სიკეთე რომ დათესო უფლის ნინაზე...

– ორშაბათს მობრძანდით, – მიმიხმო თავისთან გიორგი კარბელაშვილმა და თავად დარწმუნდებით, ხალხი რა ყოფაშია, ეს დღე ჩემთვის ყველაზე მძიმეა იმიტომ, რომ ბევრს ვერ ვეხმარები, ეს კი მანადგურებს. როცა ვხედავ, რომ ტელეფონს ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მე უძლეუ-

რი ვარ.

– რატომ?

– ზოგიერთ უზნებში ფიზიკურად არ გვაქვს თავისუფალი ხაზი, ხან რაღაც სხვა მიზეზი იჩენს თავს...

– მითხარით, განა შეიძლება ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე უბრალო ხაზის ტელეფონი ფუფუნებად ითვლებოდეს?

– მთელი სატელეფონო სისტემა სარეაბილიტაციოა, ამისათვის თანხები სამინისტროს არ გააჩნია. საჭიროა, დაიწყო მთელი სისტემის პრიატიზება. ამის შესახებ რამდენჯერმე გავაცხადე, მაგრამ ყველგან „კლანები“ არსებობს, სულ თავისკენ მოთლას რომ ცდილობენ... ეს არც თუ ისე სასიამოვნო თემაა, მოდიეთ, ამას შევეშვათ... მობრძანდით ჩემთან მიღების დღეს, მოუსმინეთ აქ მომსვლელებს... და აი, მე ეხლა მოსაცდელიდან მინისტრის მოადგილის კაბინეტში გადავინაცვლე...

– ჩვენ რომ ტელეფონი დაგვიდგეს, ვის ქონდა მაშინ ტელეფონი? დღეს უტელეფონოდ ვართ, განა პრიორიტეტი არ უნდა გვქონდეს? – ჰყვება ალელვებული ქალბატონი – გამეცით ამაზე პასუხი...

– ჩემს მეზობელს კიბო აქვს, რაც თავი მახსოვს, მის სახლში ტელეფონის ზარს არ გაუნკრიალებია. ახლა დაუდგეს, რაში სჭირდება? დღეს არა, ხვალ სულს განუტევეს. ჩვენ კი თორმეტი ვართ ოჯახში, მასწავლებელი, ინჟინერი, მეცნიერ-მუშაკი, – გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს – მკაცრად მოითხოვს ხანშიშესული მამაკაცი.

მინისტრის მოადგილე, თავჩაქინდრული ზის, გულდასმით უსმენს თითოეულ მომჩივანს, ყველაფერს ინიშნავს, იწერს...

დღის ბოლოა. მოქალაქეთა მიღება გრძელდება.

ვუსმენ მომჩივანსა და მსმენელს და ერთი იგავი მახსენდება: ბუს რომ უთხრეს, შენ დიდი თავი გაქვსო და ყველაფერი შენ იდარდო. ბოლოს, ქვეყნის დარდაკიდებულ გადაღლილ მინისტრის

პიორბი

მოადგილეს პროფესიული ვალის მოხდის მიზნით დიქტოფონი მიუჩოჩე.

- როგორ დაიწყო თქვენი პროფესიული კარიერა? მამა როგორც კავშირგაბმულობის სამინისტროს ვეტერანი თანამშრომელი, ალბათ გეხმარებოდა?

- ყველაფერი ნულიდან დამაწყებინა. ვმუშაობდი სატელეფონო სადგურში მორიგედ, მონტიორად, სატელეფონო ანძაზეც მიმუშავია, გამოვლილი მაქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური, რომელიც ვერ ვიტყვი, რომ ტკბილად მახსენდება - მეთქი. რამდენიმე წელი მოსკოვში ვიცხოვრე...

- როგორ გზრდინენ ოჯახში?

- პირადი მაგალითით. ყოველდღიურად გზედავდი სიკეთეს, სიამტკბილობას და ეს ჩემი ცხოვრების კრედიო იქცა.

- მამა, მამაა, კაცია მწყემსავს. გაგიჯავრდება თუ იმსახურებ, მოგცხებს კიდევ?

- დედა, დედა როგორ გზრდინდა?

- აი, დედა სულ სხვაა, - ამბობს გიორგი - სათნო, მოსიყვარულე, თანაც ისეთი ლამაზია, საწელიც ლამაზი ჰქვია - იავნანა. ბავშვს რომ ველოდით სახლში მე და ჩემი მეუღლე, ვნატრობდით, ქალიშვილი შეგვძენოდა, გვინდოდა, მისთვის დედის სახელი დაგვერქმია.

ჯაკ - გიგის მეუღლე

- ასეც მოხდა, გოგონას იავნანა დავარქვით. მაგრამ გიგი მას ბიჭად ზრდის, ხან თოფს მოუტანს, ხან ბურთს უყიდის, მანქანას, იაპონიიდან უშველებელი ტრაქტორი ჩამოუტანა. ჩემს მეუღლეს დედა ისე უყვარს, ბიჭიც რომ გვყოლოდა, იავნანას დაარქმევდა. პატარა იავნანა კი ძალიან ჰგავს ბებიას, ნამდვილი ქალია. უყვარს შვილები - თოჯინები, მათთვის სადილის კეთება, მათი გასეირნება სუფთა ჰაერზე. პატარა იავნანამ სიმღერა „იავნანა“ დაისაკუთრა. როგორც კი მოჰკრავს ყურს „იავნანას“ ჰანგებს, ჩვენ შემოგვცახებს: დედა, ბები, გესმით? მე მიმღერენ, მე მეძახიანო.

- როგორ უხსნიან სიყვარულს მინისტრის მოადგილეები?

- როგორც ყველა მოკვდავი, მრავალმნიშვნელოვანი მხერით, ყვავილებით. ჩვენ, ჩვენი მეგობრების ქორწილში გავიცანით ერთმანეთი, მადლობას ვწირავ ღმერთს ამ დღისათვის.

- როგორია კომუნიკაციის როლი თქვენს სასიყვარულო ურთიერთობაში?

- ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობის სამი კვირის თავზე გიორგი მოსკოვში გაემგზავრა, იქ ცხოვრობდა. ჰოდა, ჩვენს შორის ნამდვილი სატელეფონო სიყვარული გაიბა, თბილისი-მოსკოვის ხაზზე ვიყავით ერთთავად გამობმულნი. ეს როლი იმდენად კარგად შეასრულა ტელეფონმა, რომ როგორც კი დაბრუნდა თბილისში, გიგიმ ცოლობა შემომთავაზა.

- გეთანხმებით, კომუნიკაციას დიდი წვლილი მიუძღვის სასიყვარულო ამბებში.

- დიას, რამდენი წყვილი ვიცი, ტელეფონით რომ გასცნობიან ერთმანეთს და მერე ცოლ-ქმარი გამხდარან.

- მერე რამდენი გაუთხოვარი ქალიშვილია ჩვენში. ბატონმა გიორგიმ უნდა გაითვალისწინოს ეს... ჩვენს მეზობელ რედაქციაში ერთი მშვენიერი გასათხოვარი ქალიშვილია, ჩვენი გაჭირვების ტალკვესი, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ხომ სჭირდება და სჭირდება ტელეფონი, იქნებ კომუნიკაციამ მაჭანკლის როლი შეასრულოს მის ცხოვრებაში. უნდა ვთხოვოთ ბატონ გიორგის დაგვეხმაროს.

- რით გხიბლავთ თქვენი მეუღლე?

- შრომის უნარით და სიკეთით.

- რით შეიძლება ატკინოთ გული ქმარს?

- მოუზომელი სიტყვით.

- რას ინატრებდით ამ 2000 წელს?

- ჯანმრთელობას და გამრავლებას.

- ქმართან სასაყვედურო არაფერი გაქვთ?

- ოჯახში ქრონიკულად გვენატრება, იქნებ მეტი დრო გამონახოს ჩვენთვის.

- რას თვლით ყველაზე დიდ წარმატებად?

- ყველაფერს, რასაც ჩემით მივაღწიე.

- რას თვლით ყველაზე დიდ ბედნიერებად?

- როცა ვინმეს ვშველი.

- ამ ბოლო ხანებში რამ აღგაფრთოვანათ ყველაზე მეტად?

- კოსმოსურმა ანტენამ - რეფლექტორის გაშვებამ...

- თქვენი ყველაზე დიდი სიხარული?

- იავნანას მოვლენა ამ ქვეყნად.

- მამობამ სიხარულთან ერთად კიდევ რა მოგიტანათ?

- საფიქრალი და შიში... ძალიან დიდი შიში...

თავიდან ეგზიუპერის უფლისწული გავიხსენე და ახლა გიორგის პასუხმა ისევ მომაგონა უფლისწული, თავის პატარა პლანეტაზე მზრუნველი შიშით რომ დარაჯობს ყვავილს.

- როგორ ფიქრობთ გვეშველება? გაუმჯობესდება ჩვენი ყოფა?

- იმედია. იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს. არ მქონდეს იმედი? მე? რომელსაც კონკრეტული საქმე მევალება? ხალხის ყოფა სულ მალე გაუმჯობესდება და მერე როგორ... განვითარდება არა მართო კავშირგაბმულობა, სხვა დანარჩენი დარგებიც და სულ მალე საქართველო ერთ-ერთი ძლიერი, აყვავებული ქვეყანა გახდება, როგორც ამას ხშირად აღნიშნავს ბატონი პრეზიდენტი. ამას კი შრომა, დაუზოგავი ენერჯია და შორსმჭვრეტელი ადამიანების გუნდი სჭირდება ნებისმიერ სფეროში. ხშირად მეჩვენება, რომ ჩემი ბავშვობის ოცნებები „კოსმონავტობაზე“ სადაცაა ამიხდება მეთქი... და მენატრება ის დრო, ბავშვობის სამყაროს რომ იტყვდა.

ამ ახალგაზრდა კაცთან შეხვედრა იმედის ნაპერწკალს გიღვივებს - თაობა მოდის!

ლალი - აპონენტი

- დიას!

- ქალბატონო გულიკო, ლალი ვარ, იცით რა მოხდა?

- რაო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

- რომ იცოდეთ საიდან გირეკავთ, სახლიდან გელაპარაკებით, ტელეფონი დამიდგეს. ღმერთო ჩემო, არა მჯერა. ათი წელია ამ ბედნიერ დღეს ველოდი, ლამის გადავირიო სიხარულისაგან. რა ვქნა? როგორ მოვიქცე? დაურეკო? მივიდე, თუ გზაზე დავხვდე და...

- ლალი, ჩემო კარგო, ძალიან გამახარე. გილოცავ. დაე, საკომუნიკაციო სამსახურს შენს ბედნიერებაშიც შეეტანოს წვლილი. ხვალ კი - ორშაბათს, მიიღებინე, სამინისტროში. იქ - მინისტრის მოადგილესთან მოსაცდელში დიდი რიგი დაგიხვდება, შედი მასთან, გაეცანი, უთხარი, რომ მადლობელი ხარ. მერწმუნე ბედნიერი იქნება. ამ ახალგაზრდა კაცს ყველაზე მეტად ამ ქვეყნად დიდ სიხარულს მადლიერება ანიჭებს.



პატარა იავნანა

ჭაბუა ამირეჯიბი
გვილოცავს
2000 წელს

● - გრძლად გამოძვიდა სათქმელი. კარგი მაგარი მოთმინება ცოდნით თბილისში.

- გრძელი შენ ახლა ნახე! აბა, სანდროს მოვუსმინოთ, - კარიჭაშვილმა ხელები სიამოვნებით გადაიფშვნიტა: უხაროდა, რომ ლხინი კალაპოტს დაუბრუნდა და, ჯერჯერობით, უთანხმოებასაც ეშველა. - ამან ბლომად საზღვარგარეთული სიტყვები იცის, სანამ ყველას არ იტყვის, არ გაჩუმიდება. ცოდონი ახლა ვართ, ლაზო, თორემ შენი მოკლევ იყო, სადაც და ჭკვიანურიც.

გუნდმა „შავი შაშვიც“ დაიწყო. მსახურებმა კერძები მოიტანეს; მაგიდა მიგვილაგეს. სუფრა დაცხრა. ეს პაუზა აუცილებელი იყო, დასვენება გვესაჭიროებოდა, ერთობ მახვილი განცდები გვქონდა მოსანელებელი! კრინტი არავის დაუძრავს, ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, ცოტა ხნით განმარტოება გვსურდა ყველას. დრო გავიდა და ხალხმა იმატა - აივნები ერთი თუ ორი ლა დარჩა თავისუფალი. დარბაზში განლაგებული მაგიდებიც თითქმის ყველა შეივსო, მაგრამ წინააღმდეგ ჩვეულებად ქცეული წესისა, გოგია არავის მიჰკვებებია; არავისათვის ეცალა, იჯდა, თანამესუფრეებთან ერთად განიცდიდა, რაც ხდებოდა.

სანდრო კარიძემ ხელი მოჰკიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სადღეგრძელოს იწყებდა. ნელ-ნელა დავწყნარდით.

- ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე ჰირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე - მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირუკუ. ისინი ერთმანეთის შვილები არიან...

- ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, - განაგრძო კარიძემ, - რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერისა და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს...

- მცირე ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით კაცობრიობის ან მისი ერთი ნაწილის წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა. სახელმწიფოს არსებობას საერთაშორისო ფუნქცია, ისტორიული მისია სჭირდება...

- მაგას სხვაც ბევრი რამ სჭირდება, სანდრო, - ჩაერთა ელიზბარ კარიჭაშვილი. - ჯერ არის და, თვით ფუნქციის ისტორიული საჭიროება უნდა შეიქმნას. მერეა და, ერს, რომელიც ამა თუ იმ მისიას იკისრებს, საამისო ნიჭი, ენერჯია, ბრძოლისა და ძლევაშობის ხინი უნდა მოსდგამდეს.

- თავისთავად ცხადია, და მაშინ ასე დავიწყეთ: მსოფლიოს ერთ-ერთ

ნაწყვეტი რომანიდან

დათა თუთაშხია

გეოგრაფიულ რაიონში - ამიერკავკასიაში - დაისახა გარკვეული ფუნქცია და მასასადამე, სახელმწიფოს შექმნის ისტორიული საჭიროებაც. აქ ქართველები ვცხოვრობდით და საჭიროებას ვუპასუხეთ - შევექმენით სახელმწიფო. ქართველთა ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობას სული იმან ჩაუდგა, რომ დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისათვის განაპირა გოლოლის როლი ვიკისრეთ აღმოსავლეთში. მეორე მხრივ სპარსეთისა და ბიზანტიისათვის ის ძალა ვავხდით, რომელსაც ჩრდილოეთ მომთაბარეთა სამხრეთული ლაშქრობის დაკონტროლება შეეძლო. სახელმწიფოს შექმნამ წესრიგი, სტაბილურობა მოიტანა. მაშინ ქართველთა მიწა-წყალზე გაიღო და გადაჯვარედინდა დიდი სავაჭრო გზები. განვითარდა ეროვნული ეკონომიკა, რომელმაც აზიურ ალებ-მიცემობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ასეთი მსოფლიო ისტორიული მისიის აღსრულება ნიშნავდა ათასნაირი მტრის მოგერიებას და სახელმწიფოც საომარ ყაიდაზე გვქონდა მომართული. პიროვნებამ, მოქალაქემ, ცხადია, ერის ფუნქცია, სახელმწიფო მისია გაიმეორა: მტრის მოგერიება, ომი ადამიანის ძირითად საქმიანობად იქცა, ცხოვრებად! ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა - ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა. შეიქმნა ვითარება, როდესაც მოქალაქის ცხოვრების ავ-კარგი სახელმწიფოს ძლევაშობისაზე ეკიდა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის რაიმეს დაშურებას უდრიდა. ამიტომ ამოქმედდა და დროთა განმავლობაში დამკვიდრდა ზნეობრივი პრინციპი: ჯერ ვაძლევ ერსა და სახელმწიფოს, რაც კი რამ მახადია და შემდეგ ვიღებ მისგან იმდენს, რამდენსაც დავითრევ, ან რამდენსაც მარგუნებენ თუ გადმომივდებენ. მაშინდელი კაცობრი-

ობა ამ დონეზე იდგა, სამართლიანობაზე თავისებური წარმოდგენები ჰქონდა. ასეა თუ ისე, ზემოთ მოყვანილი ზნეობრივი პრინციპი, საბოლოო ჯამში, ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ფუნქციამ, ისტორიულმა მისიამ ჩამოაყალიბა და ამან კი, ანუ დროთა ვითარებაში დამკვიდრებულმა ზნეობამ - სახელმწიფო შეინახა. ეს - რაც შეეხება იმას, თუ რა თვისება დაკარგა ჩვენმა ერმა. ქალბატონმა ნანომ ჭემ-მარიტება ბრძანა: თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული დაკარგა, ანუ ის ზნეობა, რომელზეც, ჩემო ელიზბარ, მე ასე დიდხანს და ამდენი საზღვარგარეთული სიტყვებით ვილაპარაკე. თვით სადღეგრძელო კი მოკლე იქნება - მომხდურთან ბრძოლის, სამშობლოს დაცვის, სახელმწიფოს შენახვის პირობა სიყვარულიაო. მაშინ ქართველებს და მსგავსი ისტორიის მქონე სხვა ერებს, ცხოვრების ფუძედ, სამიერკვლად სიყვარული ჰქონიათ. სიყვარულს უშენებია მტრობით დანგრეული და ამ სიყვარულისას სიამოვნებით დავლევ!

სანდრო კარიძე ჯამს დაეწაფა ნელა, სვენებ-სვენებით დაცალა.

მოულოდნელად საინტერესო სადღეგრძელო გამოვიდა და სუფრა ცოტა ხნით ჩაყუჩდა. მერე ერთად ავლაპარაკდით - კარიძის ნათქვამს ვანალიზებდით და ვანვითარებდით.

- ეგ საინტერესო აზრია, სანდრო - ცხოვრების ფუძედ სიყვარული ჰქონიათო. მე ფილოლოგიაში ჭიბი არ მომიჭრია, მტკიცება გამიჭირდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ქართული მუსიკის, ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი სწორედ მაგ პერიოდშია შექმნილი და ერთი მაგალითიც არ ვიცი, რომ ნაწარმოებში სიცრუე, ბოროტება და ძალმომრეობა იმარჯვებდეს. სულგრძელობა, თავდადება და სიყვარულია ყველაფრის ჩონ-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ჩხი, სისხლი და ხორცი. იმ ყველაფრი-
სა, რა თქმა უნდა, რაც წაიკითხული ან
მოსმენილი მაქვს, - ვთქვი მე.

- არაკი ვიცი ერთი მე, ჩვენი არ
არის ის, - ნანოს მიმართა ლაზმა. -
ლომია დაჭრილი იმ არაკში, სისხლი
მოსდის მკერდიდან და გარშემო აფ-
თრებს სიხარული აქვთ და ზეიმი, ლო-
მი რომ კვდება და ლეში მათ რომ დარ-
ჩებათ, იმიტომ. გაგულისდება ლომი,
მოიკრეფს უკანასკნელ ძალ-ლონეს,
წამოუხტება აფთრებს, სისხლის გუ-
ბეს დააყენებს მათსას. იბრძოლებს
დიდს, გამოელევა ილაჯი, ჩავარდება
მათი სისხლის გუბეში და ბანაობს შიგ.
ისეა არაკში, რომ მტრის და მოშურნის
სისხლმა უნდა მოუშუშოს და შეუხორ-
ცოს ჭრილობა ლომს. ახლა „არწივი“
რომ არის, ქართული ლექსი: მისი დამ-
წერი დიდი კაცია ძალიან. ქართველებ-
ში ყველაზე დიდი იყოს. იქნება, დღეს.
იცი თქვენ ეს. ამ დიდ კაცს რატომ არ
მოუვიდა აზრად, ნეტავი, მისი არწი-
ვიც რომ წამოფრენოდა ყვავ-ყორანს,
ბუმბული გაეფანტა მათი და შევბა მი-
ცემოდა ამით? რატომ და, ასე რომ ექ-
ნა, გაბოროტების და ჯავრის ამოყრის
მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ

ქნა მან ეს. მესამედ გაიმეორებ შენ-
თვის, თუ პირველად წაიკითხავ - არ-
წივის სიბრაღული, თანაგრძობა გეწ-
ვევა კაცს ჯერ, მის მხარეზე დაგაყე-
ნებს, ღონემიხდის და განწირულს შე-
გაყვარებს ლექსი. მაგ კაცს განგებისა-
გან აქვს მაღლი დასხმული საამისოდ,
ადვილად შეუძლია ეს. შეგაყვარა და
რომ მიადწია ამას, გენდობა უკვე. იცის,
რასაც გააკეთებ, სიყვარულიდან გამო-
სული იქნება ის. ამიტომ არის, რომ არ
გირჩევს და არ გეუბნება, ასე და ასე მო-
იქეციო, - ლაზი წამით დაფიქრდა და
დასძინა: - ნამდვილი რაც არის, ყველა-
ფერში ასე უნდა იყოს, მგონია. უნდა და-
ვაკვირდე, ერთი, ამას.

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლა-
პარაკში გაეათენოთ - ნამდვილი საქმე
ვიღამ აკეთოს! - განაცხადა კარიჭაშ-
ვილმა - ნანო, შენი ჯერია. შემდეგ
სადღეგრძელოს ვინც იტყვის, ორი ჯა-
მით დალიოს, თორემ არჩილა და ერვან-
და შემოგვივარდებიან, პანდურის ცე-
მით გაგყვრიან!

- შენ ამ ნამდვილ საქმეს რომ გა-
დაყვე, მიტომ გეძახიან, ბოლო დროს,
„ყოფილ მსახიობს“, - ჩაილაპარაკა
სანდრო კარიძემ.

- მე ხელოვანი ვარ, სანდრო კარი-
ძე, და არა ტაშის მხვეჭელი ტაკიმას-
ხარა, - მიუგო კარიჭაშვილმა გალიზი-
ანებით. - ახალგაზრდა ვიყავი, სცენამ
და დარბაზის გრიალმა მიმიტყუა, რა
ვიცოდი, КУДА ВЛЕЧЕТ МОЙ ЖАЛКИЙ
ЖРЕБИЙ. და ან რა იყო ნამდვილი ხე-
ლოვნება!

- ახლა ხომ იცი?! - ჩაიქირქილა კა-
რიძემ.

- ახლა ვიცი! ნამდვილი ხელოვნე-
ბა, სანდრო, უპირველესად ყოვლისა,
სინდისია, პატიოსნებაა. უფლება არა
მაქვს, ხალხს საშუალოდ გაკეთებული
როლი ვაჩვენო. ეს ერთი. მეორე ისა,
რომ უფლება არა მაქვს, სიცრუე
უთხრა კაცს და ეროვნული ავბედითო-
ბით ჭეშმარიტ გზას აცდენილი - ხრამ-
ში გადავჩხო. ამიტომ ყველაფერს და
ყველანაირს არა ვთამაშობ. აი, წელი-
წაღია როლს ვამზადებ. იქნებ, კიდევ
წელიწადი მოვანდომო. სამაგიეროდ,
სულის დაწმენდასა და ამამაღლებელს
ვანჯენებ. თუ მაყურებლის თვალებში
შევნიშნე, რომ მიზანი დაძლეულია, მა-
შინ თეატრში ტაშის მოსასმენად შენ
დარჩი; მე აქვთ გამოვქიცივი, გოგიას-
თან და ველისციხელ ერვანდასთან ერ-

თად ღვინოს დავლევ, წასული კვირის
ჭიდაობაზე ვილაპარაკებ. მიდი, გენაც-
ვალე, შენა და შენისთანა მკილაეებმა
„ყოფილი მსახიობი“ მიძახეთ, ყაბულ-
სა ვარ... ნანოს ჭირიმე, გისძენთ! აააპ,
სმენა იყოს!!! – დაიჭექა ელიზბარმა.

– სანამ მე ვიტყვოდე რამეს, უკვე
ნათქვამს ზოგი რამ უნდა დაემატოს, –
თქვა ნანომ. – სახელდობრ, ბატონმა
სანდრომ ბოლომდე უნდა გაგვიზიარ-
ოს თავისი შეხედულება.

– დიახ, ქალბატონო, ბრძანეთ, რო-
მელი შეხედულება, – დაფაცურდა კა-
რიძე.

– თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, თუ რა
დავკარგეთ, მაგრამ არაფერი გით-
ქვამთ, როგორ დავკარგეთ – ეს ერთი,
და რანი ვართ დღეს – მეორე. უმაგი-
სოდ ჩემს სალაპარაკოს სადღეგრძე-
ლოსთან ვერ დავაკავშირებ და დიაცის
აბლაუბაში ჩამომერთმევა ნათქვამი.

– სიამოვნებით, თუკი დამსწრე სა-
ზოგადოება მოთმინებას გამოიჩენს.
სულ სამი წუთი დამჭირდება, შეგიძ-
ლიათ საათი დანიშნოთ, „მამაო ჩვენო-
სავით“ ვიცო, – ღმილით მიუგო კარი-
ძემ.

– მიდი, სანდრო, – წააქეზა კარი-
ჭაშვილმა. – მუსაიფი მაინც შეგრჩეს.
რა ვიცით, ხვალაც ცოცხლები ვართ?

სანდრო კარიძემ პაუზა იხელთა და
დაუყოვნებლივ დაიწყო:

– სამწუხაროდ, ყველაფერი წარმა-
ვალაა მზისა ქვეშე. ჯერ იყო სლავთა
ფეოდალური სახელმწიფოების ჩამო-
ყალიბებამ სამხრეთის იმპერიებს
ჩრდილოური შემოსევების საშიშროე-
ბა შეუქმნა და ქართველთა სახელ-
მწიფომ ტრამალების ხალხებთან წი-
ნაბრძოლის ფუნქცია დაკარგა. შემ-
დეგ, ისედაც მიხრწნილი ბიზანტიის
იმპერია, ჯვაროსნებმა და თურქებმა
მოაშთეს. კათოლიკურ ქრისტიანობას
იმდენად სერიოზული ჭია შეუჩნდა,
რომ მისი არსებობის შესანარჩუნებ-
ლად ინკვიზიციის დაარსება შეიქნა სა-
ჭირო. როცა ციტადელი ირყევა, გოდო-
ლის მეციხოვნეთა ბედიც ბეწვზე ჰკი-
დია. ერთმორწმუნე სამყაროსთან არ-
სებული კომუნიკაციები დაირღვა და
საქართველოს იდეოლოგიური ფუნ-
ქციაც თანდათან გაუქმდა. კიდევ ცო-
ტა ხანი და ზღვაოსნობის განვითარე-
ბამ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზები
წყლებზე გადაიტანა. ამით ეკონომიუ-
რი ფუნქციაც გამოგვეცალა. მოკლედ
რომ მოვჭრათ, ერთ მშვენიერ დღეს აღ-
მოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქცი-
ები გაუქმდა და მსოფლიო-ისტორიუ-
ლი მისია აღარ გაგვჩანია. კაცობრიო-
ბისათვის წესიერი საქმეების მკეთებე-
ლი, ძლევამოსილი სახელმწიფო

წვრილმანი სამთავროების კინკლაო-
ბის ასპარეზად და ყველა მოცილილი თუ
მოუცვლელი დამპყრობლის სარბიე-
ლად იქცა. რუსეთთან შეერთებამდე სა-
ქართველოს ისტორიის ბოლო ხუთ სა-
უკუნეს თამამად შეიძლება დაერქვას
ხუთასწლოვანი ომი ფიზიკური არსე-
ბობის შესანარჩუნებლად და შექმნილი
კულტურის გადასარჩენად. საყუ-
რადღებოა, რომ ქართულ ეროვნულ-
პოლიტიკურ აზროვნებას მუდამ და
ამომწურავად ესმოდა სახელმწიფოებ-
რივი ინსტიტუტის ისტორიული მისი-
იდან წარმომავლობის აუცილებლობა.
დიდ მასშტაბებში ეს იდეა პირველად
ვახტანგ გორგასალის ხელით განხორ-
ციელდა. ტრამალის ხალხებთან წინამ-
ბრძოლობის ფუნქცია როცა გაუქმდა,
მაშინ დავით აღმაშენებელმა და მისმა
პოლიტიკოსებმა წინა აღმოსავლეთის
კულტურულ-პოლიტიკური ხელმძღვა-
ნელის ფუნქციით აღჭურვეს ქართველ-
თა სახელმწიფო და ამ მიზნის განხორ-
ციელების მტკიცე საფუძველი შექ-
მნეს. მსოფლიო ქრისტიანულ ცივილი-
ზაციას და, კერძოდ, ბიზანტიის იმპე-
რიას რომ საძირკველი მოერყა, თამა-
რის სახელმწიფომ მართლმადიდებე-
ლი სამყაროს ჰეგემონობაზე, სამაჰ-
მადიანოში წესრიგის დამყარებაზე გა-
ნაცხადა პრეტენზია. ამ მხრივ, საქმე-
ბი რიგიანადაც წარიმართა, მაგრამ
მონღოლობამ მოგვისწრო და ჩვენს ის-
ტორიაში უმნიშვნელოვანესი კატაკ-
ლიზმი გამოიწვია. თვით ერეკლეს პო-
ლიტიკაც ვახტანგ გორგასალის ოპე-
რაციის გეოგრაფიულად შებრუნებუ-
ლი განმეორება ვახლდათ – საყრდენ-
ით ჩრდილოეთში და მახვილით სამ-
ხრეთში, მაგრამ ამ ვითარებამდე იმდენ-
ად განჩანავებულებმა მოვალწით, რომ
რუსეთმა ქართველთა მოკავშირეობას
მათი მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯო-
ბინეს... ყოველივე ეს იმისათვის ვთქვი,
რომ წინაპართა სიბრძნე და მოცადეო-
ბა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო, მათი
შრომა წყალში არ გადაყრილიყო... დი-
ახ, ის საზარელი ხუთასი წელიწადი!
ვისაც მიუკერძოებლობა და განათლე-
ბა ჰყოფნის, იმისათვის ჩვენი ისტორი-
ის ამ პერიოდთან მხოლოდ ამერიკელი
ინდიელების ანალოგია არსებობს. სხვა
პარალელი არ მაგონდება. ასეა თუ ისე,
სიცოცხლისა და კულტურის შესანარჩუ-
ნებაც ფუნქციაა, მაგრამ ვიწრო-ეროვნ-
ული, ძლიერი სახელმწიფოს არსებო-
ბისათვის უვარგისი. ქართველთა სა-
ხელმწიფო, ფაქტიურად, გაუქმდა. მი-
სი ავ-კარგის მიმართ ერის ძირითად მა-
სას ქვეცნობიერი თუ გაცნობიერებუ-
ლი პასუხისმგებლობა მოუღუნდა, ხო-
ლო მრავალმა დამარცხებამ და აოხრე-

ბამ მოქალაქეს ძლევამოსილები
რწმენა დაუკარგა. სწორედ ამან მოახ-
დინა ერის ზნეობაში პირველი ძვრა
დაკნინებისაკენ. მთავარი სამუშაო
ფუნქციის კერძო ეროვნულმა ხასიათ-
მა, საერთაშორისო მნიშვნელობამ შე-
ასრულა: ცხოვრება სიცოცხლის შე-
ნარჩუნების პროცესად იქცა, ხოლო ამ
პროცესმა თავისი მომწესრიგებელი
ფაქტორი, ანუ შესაბამისი ზნეობა ჩა-
მოაყალიბა, – თავკერძული ელემენტე-
ბით უხვად შეზავებული, ძლიერი სა-
ხელმწიფოს დროინდელთან შედარე-
ბით დაბალი და კნინი. მართალია, კერ-
ძო-ეროვნული მიზნისათვის, მაგრამ
ხალხი მხარდამხარ იდგა, ადამიანს ერ-
თობისა და ერისათვის თავდადების
უნარი საკმაოდ გამაზვილებული ჰქონ-
და. ხუთასი წლის გააფთრებული წინა-
აღმდეგობის შემდეგ ერი ზორციელად
განადგურდა, სულიერად გადაიღალა.
სხვა გზა აღარ იყო და ერთმორწმუნე
ერი მოვიყვანეთ. დასავლურ კულტუ-
რასთან პირდაპირი კონტაქტების უძ-
ველესმა წყურვილმა ახალ ფორმაში ჰ
პოვა განხორციელება: ევროპის უდი-
დესი სახელმწიფოს ნაწილად ვიქე-
ციოთ! რუსეთთან შეერთებამ ყველა
პრობლემა ერთბაშად მოხსნა. გაგვან-
თავისუფლეს ომებისაგან, ლეკიანობი-
საგან, ამოწყვეტის საშიშროებისაგან,
ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტი-
ისაგან და გადასახადებისგანაც კი. ეს
შესვენება ქართველი ერისათვის გადა-
უდებელ საჭიროებას წარმოადგენდა,
მაგრამ ერთი კანონზომიერი რამ მოხ-
და: ისტორიულად კაცობრიულ და
ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული
ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა,
მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრუ-
ლიად აღარაფერი; ერი დაემსგავსა სა-
მოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელ-
საც მხოლოდ ერთი საქმე აქვს – სძო-
ვოს. ასი წელიწადია ვებლახობთ, ჩვე-
ნი ერთადერთი ფუნქციაა – ვჭამოთ,
ვსვათ, შვილები ვზარდოთ. ვათავდა.
ასეთმა ფუნქციამ ძველი, ტრადიციუ-
ლი ზნეობა გადაავკარა და დღეს თუკი
ვისმე თავისუფლების, სამშობლოს,
სახელმწიფოებრიობის სიყვარული
აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნე-
ობა უმდგრადესია სულიერ ღირსებათა
შორის. აი, ჩემი აზრით, ეს დავკარგეთ,
ქალბატონო ნანო. რანი ვართო, რომ
ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგ-
რამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: სა-
შოვარს გადავებული, ვათითოკაცებუ-
ლი, ყოფილი ერი. დავამთავრე, ელიზ-
ბარ, შეგიძლია საათს დახედო.



ელგუჯა მექმარიაშვილი

ქართულ გაზეთთან ტრიუკში

მსოფლიო 21-ე საუკუნეში სატელეკომუნიკაციო სისტემებს ქართული კოსმოსური ანტენის საშუალებით განავითარებს.

1999 წლის 28 ივლისი. თბილისის დროით 19 საათზე მსოფლიოს ოცი სატელევიზიო არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს ქართველების მიერ რუსულ ორბიტალურ სადგურზე ურთულესი და უნიკალური კოსმოსური ექსპერიმენტის დამამთავრებელი ეტაპის ტრიუმფს.

მანამდე კი საქართველომ მსოფლიოში პირველად დაისახა ამოცანა. არა მარტო შეექმნა კონსტრუქცია, არამედ იგი საერთაშორისო არენაზე წარედგინა და კოსმოსში გამოეცადა. ასეთი მოწყობილობის შექმნისათვის მზადება საქართველოში თითქმის 20 წლის წინათ 1981-1982 წლებში დაიწყო.

— როცა მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან საკმაო ვინრო წრეში გამართულ თათბირზე მოვისმინე ახალგაზრდა მეცნიერების მოხსენება — იგონებს თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების დირექტორი ვაჟა თორდია — ვიფიქრე, იმ დარგს, რომელზეც ეს ბიჭები ასე გაბედულად საუბრობენ, როგორც ჩანს, კარგად არ იცნობენ, ვითარებას ვერ აკონტროლებენ-მეთქი. საკითხი დიდგაბარიტიანი სამეცნიერო-საკვლევ-საცდელი ანტენისა და კოსმოსური ნაგებობების ბაზის შექმნას ეხებოდა, მაშინ ეს ახალგაზრდები: ელგუჯა მექმარიაშვილი, მიხეილ ჯანიკაშვილი, მერაბ ადეიშვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის თემურ ლოლაძის ინიციატივით ხვდებოდნენ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

გულდასმით ვისმენ მათ მსჯელობას, ბუნებრივია, ვფიქრობ, ბატონმა ედუარდმა ახლა რომ მათ მხარი დაუჭიროს?!...

დღესაც გაცეხებული ვარ, მან გადაწყვეტილება სწორედ მაშინ მიიღო. ჩვენ მხოლოდ ხელი უნდა შეგ-

ვენყო ამ გრანდიოზული წამოწყებისათვის.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ ასეთი პროექტის განხორციელება საქართველოსათვის მაშინაც საკმაოდ მომგებიანი საქმე იყო. უზარმაზარი სამუშაო შესრულდა. დაინტერესდა პოლიტიკური, საკავშირო სამინისტროები. დღეს უკვე შეიძლება ხმამაღლა ითქვას, საგურამოსა და ბორჯომში მსოფლიოში უნაღოგო კოსმოსურ ნაგებობათა ბაზა აიგო. ამ კომპლექსის ასაშენებლად იმ დროისათვის ზღაპრული თანხა — შვიდი მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს იმ დროს უშუალოდ აკადემიკოსი ანატოლი სავინი ხელმძღვანელობდა. მუშაობა თბილისის საავიაციო ქარხნის ბაზაზე მიმდინარეობდა. ყველა კონსტრუქცია სწორედ აქ მზადდებოდა. ბოლო მოწყობილობა, რომელიც მაშინ ქარხანაში დამზადდა, 30 მეტრიანი ანტენა იყო. მერე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება აირია, საქართველოში კოსმოსური ანტენებისთვის აღარავის ეცალა, თუმცა კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს მუშაობა არ შეუწყვეტია, აქვე დამუშავდა 30-15-12 მეტრიანი ანტენების გახსნის პრინციპი, რომელიც მთლიანად განსხვავდება იმ ანტენების გახსნის სისტემისაგან დღეს რუსეთს, აშშ-ს, კანადას, საფრანგეთს, იაპონიას რომ აქვთ ორბიტაზე გატანილი. ამ ანტენების გაშლა-დაკეცვის პრინციპი (კოსმოსში გასატანი 30 მეტრიანი კონსტრუქცია რაც შეიძლება პატარა კონტინერში უნდა მოთავსდეს. ეს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა) მთლიანად საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში გენერალურმა კონსტრუქტორმა ელგუჯა მექმარიაშვილმა და მისმა ჯგუფმა შეიმუშავა.

როგორც ცნობილია, დღევანდელი კოსმოსური სატელეფონო სისტემის მთლიანი აღჭურვილობის მხოლოდ 20 პროცენტი ორბიტაზე, დანარჩენი სად-

გურები დედამინაზე განლაგებული. ეს უზარმაზარი მეურნეობა და ხარჯები. ამ ანტენებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემების ამოქმედების შემდეგ დედამინაზე განლაგებული სადგურები საჭირო აღარ იქნება, მომხმარებელი საკუთარი აპარატით კოსმოსიდან პირდაპირ უმოკლეს ვადაში მიიღებს და გადასცემს სიგნალს. რამდენიმე ასეთ ანტენას მთლიანად შეუძლია დედამინის გადაფარვა. ეს, ამ მოწყობილობის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა.

– ქართული რეფლექტორის კოსმოსში ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელებამდე ხუთი თვით ადრე რუსებმა კოსმოსში გაიტანეს საკუთარი კონსტრუქციის ანტენა, მაგრამ ექსპერიმენტი ჩაეშალა. სწორედ ამის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სისტემის კოსმოსური ანტენის გამოყენების თაობაზე, ქართველ მეცნიერებთან, უშუალოდ ბატონ ელგუჯა მექმარიაშვილთან ეთანამშრომლათ.

– ეს, – განმარტავს ვაჟა თორდია, – ჰაერზე ნასროლი სიტყვები არ გახლავთ. ტექნიკური შეფასებაა. იგი მართლაც უნიკალური მოწყობილობაა, მისი დაუნახაობა და შეუფასებლობა შეუძლებელი გახლავთ.

რუსეთის მხარემ წამოაყენა პირობები, პარამეტრები. კოსმოსში ყოველი კილოგრამი ტვირთის გატანა ძვირადღირებული სიამოვნებაა. ამიტომაც ყველა წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასეთი ექსპერიმენტი დღის წესრიგში დიდი ხანია დგას. 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირი ამ სისტემების შექმნაზე ინტენსიურად მუშაობდა, ბოლო ხანს ანალოგიური ექსპერიმენტი ფრანგებმა, იაპონელებმა და ამერიკელებმაც განახორციელეს, მაგრამ მათმა კონსტრუქციებმა არ გაამართლა.

თავად ბატონი ელგუჯა მექმარიაშვილი ამ მიმართულებით 80-იანი წლებიდან მუშაობს. როგორც თავად განმარტავს, მსოფლიოში 90-იანი წლების ბოლოს ორბიტაზე დიდი ანტენების რადიო ტექნიკური თანამგზავრების შექმნის იდეოლოგია პრინციპულად შეიცვალა. საერთაშორისო ბაზარმა ახალი ტიპის გრანდიოზული თანამგზავრების შესაქმნელად ზედმეტი ხარჯების განწევაზე უარი თქვა. მათ კოსმოსური ანტენებისა და ტელეკომუნიკაციების სპეციალისტებს დაუსვეს საკითხი, რომ გამოეყენებინათ შედარებით პატარა, მსუბუქი და მობილური სერიული თანამგზავრები. ამან წარმოშვა აუცილებლობა მინიმუმამდე შემცირებულიყო კონსტრუქციის წონა და გაზრდილიყო გაშლილი ანტენის ფართობი. ყველაზე რთული ამოცანა მაინც კონსტრუქციის სიხისტის მიღწევა იყო.

როგორც ცნობილია, აშშ-ის კოსმოსში მუშაობის იდეოლოგია ორბიტალურ სადგურს არ ეყრდნობა,

მათ კოსმოსში ასეთი სადგური არ აქვთ, ამიტომ და მოუკიდებელი რაკეტა-მატარებლით ცალკე თანამგზავრით რეფლექტორის გაშვება მიზნის მისაღწევად, შესანიშნავი პირობაა პრობლემების შესამცირებლად. რეფლექტორი თანამგზავრზე დედამინაზევე მაგრდება, კონტეინერიდან მთლიანად ამოტუმბულია ჰაერი და ტენი, საჭირო აღარ არის კოსმონავტების შრომა, რომელიც თავისთავად უხემ ფაქტორებსაც შეიცავს, კონსტრუქცია პირდაპირ რაკეტა მატარებლიდან გადის ღია კოსმოსში და ავტომატურად იშლება. ასეთი პროექტების ღირებულება 150-220 მილიონ დოლარამდე ჯდება.

სიძნელები რომელიც ქართული რეფლექტორის ექსპერიმენტის დასაწყისში სადგურ მიწზე წარმოიშვა, წინასწარ იყო ცნობილი. ეს ორბიტალური სადგური უკვე მეათე წელიწადია ზენორმატივით მუშაობს. იქ ტენიანობისა და ყინვის ფაქტორის გარდა სხვა პრობლემებიც შეიძლება წარმოქმნილიყო. კოსმონავტებს, რომლებიც უმაღლესი დონის პროფესიონალები არიან, უფაქიზეს ავტომატურ სისტემასთან მუშაობისას, შეიძლება მაინც წარმოქმნოდან სირთულეები.

კონსტრუქცია, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო კოსმონავტებმა სადგურ „მირიდან“, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საყოფაცხოვრებო პირობებიდან გაიტანეს კოსმოსში, და ამ დროს დატენიანდა, ტენი, როგორც წესი, საერთოდ არ უნდა იყოს მასზე, ამის გამო ჩავარდა ფრანგული ექსპერიმენტი. თავიდან ქართულ ანტენასაც შეექმნა პრობლემები, ამას ანტენის ძრავებისათვის ელექტროენერჯის კვების შეწყვეტაც დაერთო, თუმცა ორბიტალურ სადგურზე დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ ანტენა ნახევრადგაყინულ მდგომარეობაში სრულად გაიხსნა და ზემდგრალობა გამოავლინა.

– ჩვენ, – ამბობს ბატონი ელგუჯა მექმარიაშვილი, – ყოველი მხრიდან მოგვდიოდა წინადადება. ეს ტექნოლოგია მათთან ერთად რომ გამოგვეცადა, ამ შემთხვევაში საქართველოს თავის წილი უნდა შეეტანა. ეს სოლიდური თანხა გახლდათ, რაც ქვეყანას დიდ სირთულეს შეუქმნიდა. ჩვენი მხრიდან ამის გაკეთება და თხოვნით პრეზიდენტისადმი მიმართვა გაუმართლებელი იქნებოდა.

მართალია პროექტის განხორციელება ქვეყანას უზარმაზარ ეკონომიკურ შედეგს მისცემდა, მაგრამ გაჭირვების ჟამს ძნელია 4-5 წლის შემდგომ შედეგსა და პერსპექტივაზე ესაუბრო ხალხს. ამიტომ „საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა“ და პირადად ჩვენმა თანამემამულე ბიზნესმენმა გრიგორი კინტერაიამ ყველაფერი გააკეთეს, რათა ევროპულ კომპანიებს ექსპერიმენტისათვის საჭირო თანხები, მათ შორის, საქართველოს წილიც გადაეხადათ.

სწორედ ამან განაპირობა რუსეთის კოროლიოვის სახელობის სარაკეტო კოსმოსურ კომპანია „ენერჯიას“ და „საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის“ მონაწილეობით თანაბარი წილით თბილისში ერთობლივი კომპანიის დაფუძნება და ექსპერიმენტის თბილისში განხორციელება.

საქართველოს დარი ქვეყნის მიერ კოსმოსური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი კონსტრუქცია თუ იგი რამდენიმე თავით მაღლა არ დგას, კოსმოსური ტექნოლოგიების ტრადიციული ქვეყნების მიერ შექმნილი მოწყობილობასთან შედარებით, ბაზარზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებს.

ამ ექსპერიმენტის მთავარი მიზანი კონსტრუქციის მექანიკის ელექტრონიკის მუშაობის სიზუსტის გამოცდა იყო. ჩვენი კონსტრუქციის ძრავებს კოსმოსში სტაბილური პარამეტრებით მუშაობის ხუთ წუთიანი რესურსი აქვს. შემდეგ პარამეტრი იცვლება და რესურსი 15 წუთამდე იზრდება. ყველა პარამეტრი რომ შესრულებულიყო 5 წუთიც საკმარისია.

ჩვენი რადიოტექნიკური კომპლექსის აგებამ, კოსმოსური ხომალდისა და რეფლექტორის ურთიერთკავშირების პრინციპმა გაამართლა, გაამართლა სასტარტო მექანიზმაც, რომელმაც ნახევრად გაყინული კონსტრუქცია დაძრა ადგილიდან. ექსპერიმენტმა ორბიტალურ სადგურზე შექმნილი მცირეოდენი შეფერხებების მიუხედავად წარმატებით ჩაიარა. მას კოსმონავტებმა, სპეციალისტებმა დიდი შეფასება მისცეს. ეს პროდუქცია საბოლოოდ მიღებული შედეგებით მაკომპლექტებელი დოკუმენტაციებთან ერთად გავა საერთაშორისო ბაზარზე, სხვაგვარად მას არც ერთი სერიოზული კომპანია არ მოჰკიდებს ხელს.

საერთოდ კი ამ ანტენებზე ინტენსიური მოთხოვნა პროკოსმოსური პროგრამების განხორციელების 2001 დან 2007 წლამდე პერიოდში იქნება. ასეთ დიაპაზონში ძირითადი პროგრამები 5-დან 9 მეტრამდე დიამეტრის ანტენებს მოიცავს, ეს ანტენა უნივერსალურია, მისი ზომები კონსტრუქციული ცვლილებების გარეშე 5-დან 25 მეტრამდე შეიძლება გაიზარდოს.

მომავალი წლის საერთაშორისო აეროკოსმოსური გამოფენისათვის ჩვენი ანტენის შესახებ მონაცემების მიწოდებას უკვე ინტენსიურად ითხოვენ. თავისთავად საკმაო ინტერესს იწვევს ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი კონსტრუქცია. თავისი გაბარიტების მიუხედავად, იგი ძალზე მსუბუქია, სულ 36 კილოგრამს იწონის და ძალზე ხისტია, რაც მის ღირსებას ერთი-ორად ზრდის.

ასეთი ანტენების გამოყენების არეალი ძალზე დიდია ინფორმაციების სიხშირისა თუ სიჩქარის

გაზრდის, ინტერნეტის, ტელემედიცინის ტვირთების, ნავთობ და გაზსადენების, ელექტროგადამცემი ხაზების კონტროლი ტელემედიცინასა თუ ეკოლოგიური ვითარების გაკონტროლების საქმეში.

ქართული კოსმოსური სამეცნიერო სკოლისათვის კი თავისი არსებობის ოც წლიანი ისტორიის მანძილზე ეს იყო ქვეყნის პრეზიდენტის სერიოზული დავალება, სადაც იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ საქართველოსთვის, როგორც ტრადიციულად არაკოსმოსური ქვეყნისათვის, სამეცნიერო შრომებში, ლაბორატორიულ-სასტენდო კომპლექსში მიღწეული წარმატებები პრიორიტეტისა და მაღალი რანგის კონკურენტუნარიანი იმიჯის შექმნისათვის საკმარისი ვერ იქნებოდა. საქართველოს ქართველ მეცნიერებს კოსმოსში ექსპერიმენტითა და საკუთარი კონსტრუქციის ატესტაციით უნდა დაემტკიცებინა მისი დიდი უპირატესობა სხვა კომპანიებისა თუ სახელმწიფოებისთვის და ფაქტის წინაშე დაეყენებინა ისინი, სწორედ ამიტომ ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა ექსპერიმენტის კოსმოსში განხორციელებას.

ასეთი კომპლექსური მიდგომით, ქართველი ბიზნესმენის გრიგოლ კინტიერიას უშუალო მონაწილეობით კოროლიოვის სახელობის რუსეთის სარაკეტო კორპორაცია „ენერჯიასთან“ ერთად ორბიტალურ სადგურ მირზე 23 – 28 ივლისს უნიკალური ექსპერიმენტი ჩატარდა.

პირველმა ქართულმა კოსმოსურმა კონსტრუქციამ, რომელიც 28 ივლისს პირველ თანამგზავრად გადაიქცა მისი სადგურ მირიდან მოცილების შემდეგ, ტრიუმფით დაასრულა მეოცე საუკუნეში ქართული სამეცნიერო სკოლის მიღწევები და 21-ე საუკუნეში მსოფლიოს მონინავე ქვეყნებთან და კოსმოსური ფირმებთან ამ მიმართულებით ქართველების მათთან თანამშრომლობის კარგი საფუძველი შეუქმნა.

ეს არ არის მარტო ქართული სამეცნიერო სკოლის აღიარება. ეს დიდი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევაა, რომელიც ქვეყანას უდიდეს ეკონომიკურ მოგებას მისცემს. სპეციალური ტექნიკის შექმნის მხრივ გამოკვეთავს მის როლს, როგორც სტრატეგიულ ქვეყანას, რადგან ტრადიციული გამოყენების გარდა მას სამხედრო მიზნებისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული სამეცნიერო სკოლის, ჩვენი პოლიტექნიკური ინტელექტის ასეთმა მიღწევამ საქართველოს პრეზიდენტს საშუალება მისცა წამოეყენებინა დიდი აბრეშუმის გზის ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო კოსმოსური სისტემის შექმნის ინიციატივა. ამ ახალ სისტემაში უდიდეს ადგილს სწორედ ქართული ტექნოლოგია დაიკავებს.

21700

საქართველოს
პარლამენტი
გეგმვისა და
ინფორმაციის
სისტემების
სამსახური



ეს ამბავი ოლივერ კრომველის ხანაში მოხდა. იმ დროს ინგლისის რესპუბლიკის არმიაში ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი მეიფერი იყო. ჩვიდმეტი წლიდან სამხედრო სამსახურსა და ომებში გამოწრობილს, ის-ის იყო ოცდაათი წლისთვის გადაებიჯებინა, მაგრამ უკვე ვეტერანი ჯარისკაცის სახელი ჰქონდა. მრავალი ლაშქრობის მონაწილეს, ბრძოლის ველზე ბევრჯერ ესახელებინა თავი. ჯარისკაცებს გულითადად უყვარდათ და პატივს სცემდნენ. მეიფერი სამხედრო სამსახურში დღითიდღე წინ მიიწეოდა, რომ, სრულიად მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდა თავს.

სალამო იყო. გარეთ უკუნი იდგა და ქარბუქი მძვინვარებდა. შინ კი გულის გამკვირავი სიჩუქე ჩამოწოლილიყო. პოლკოვნიკმა და მისმა ახალგაზრდა მეუღლემ თავიანთი უბედურება უკვე გამოიგლოვეს, სულის დასამშვიდებლად ბიბლიიდან შესაფერი თავი წაიკითხეს და ახლა ფიქრობდნენ თავიანთ მწარე ხვედრზე და ელოდნენ.

ცოლ-ქმარს ერთადერთი გოგონა ჰყავდათ, ერთადერთი ხატი და სალოცავი, შვიდი წლის აბი. გოგონა საცაა უნდა შემოსულიყო ოთახში და ძილი ნებისა ესურვებინა მშობლებისათვის. ქმარმა ცილს უთხრა:

– მოიწმინდე ცრემლები. ბავშვის გული-სათვის წუთით მაინც დავივიწყეთ ჩვენი უბედურება, ნუ დავანახებთ მწუხარე სახეს.

– გულში ჩავიმარხავ მწუხარებას, მაგრამ გულმა როგორღა გაუძლოს ამდენ ტანჯვას...

ჯერ კულულებიანი თავი გამოჩნდა, მერე კარი გაიღო, ოთახში საღამური პერანგისამარა შემოცქრილდა აბი და მამას კისერზე ჩამოეკიდა. მამამ გულში ჩაიკრა თავისი ერთა და მხურვალედ ჩაიკიცნა.

– რას სჩადი, მამიკო, ასე როგორ შეიძლება, თმებს სულ ამიწეწავ...

– დამნაშავე ვარ, მეტეს აღარ ვიზამ. ხომ აპატიებ მამას, ჩემო ძვირფასო?

– გაპატიებ, ცხადია, გაპატიებ! ოღონდ...

– გოგონა მამას ყელზე მოეხვია და მაშინვე შერიგების საზღაური მოითხოვა:

– ზღაპარი! აბა, ჩქარა მომიყევი ზღაპარი!

– ზღაპარი? მაშ, მოდი, მხიარულ ზღაპარს მოგიყევი!

– არა, მხიარული ზღაპარი არ მინდა, საშიში ზღაპარი მომიყევი.

მამა ცდილობდა დაერწმუნებინა აბი, საშიშ ზღაპარს მხიარული ზღაპარი სჯობიაო, მაგრამ გოგონამ მოუჭრა:

– მუდამ მხიარული ზღაპრების მოყოლა ხომ არ შეიძლება! ძიდა მეუბნება, ადამიანებს სულ მუდამ კი არ უღიხნითო, მართლა ასეა, მამა?

– მართალია, შვილო, ადამიანებს ხშირად დაატყდებათ ხოლმე თავს უბედურება. სამწუხაროა, მაგრამ რა გავწყობა.

– ჰოდა, თუ ასეა, მაშინ მომიყევი ზღაპარი უბედურად ამიანებზე. ოღონდ ისეთი საშინელი იყოს, ისეთი, რომ შიშისაგან ქრუნტელმა დაგვიაროს ტანში. დედიკო, ხელზე ხელი მომიკიდე და აღარ შეშეშინდება. აბა, მამი, დაიწყე.

– იყო, და არა იყო რა, იყო სამი პოლკოვნიკი.

– უჰ, შენი გულისა! მე მინახავს პოლკოვნიკები. ვიცი, როგორი მუნდირები აცვიათ, შენც ხომ პოლკოვნიკი ხარ! მერე!

– და, აი, ერთხელ პოლკოვნიკებმა სამხედრო დისციპლინა დაარღვეეს.

– დისციპლინა! რა არის დისციპლინა, მამა!

– იმ პოლკოვნიკებმა თავიანთ უფლებებს გადააჭარბეს... ბრძოლა თითქმის წაგებული იყო. იმ მიზნით, რომ მიეზიდათ მტრის მთავარი ძალები და რესპუბლიკის ჯარისათვის უკან დახევის საშუალება მიეცათ, მათ ცრუ იერიშის ჩატარება უბრძანეს. მაგრამ პოლკოვნიკებმა ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს, დაარღვეეს ბრძანება. ცრუ იერიშის ნაცვლად იერიშად გადააქციეს, მოწინააღმდეგის სიმაგრე აიღეს, ბრძოლა მოიგეს და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ. ასეთმა საქციელმა გენერალი განარისხა. პოლკოვნიკებს სიმაძაცე შეუქო, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის სამივე სამხედრო სასამართლოს გადასცა.

– რომელმა გენერალმა, დიდმა გენერალმა კრომველმა, მამა!

– ხო, შვილო.

– მამი, მე მინახავს გენერალი კრომველი. ჩვენი სახლის წინ ჩაივლის ხოლმე თავის უშველებელ ცხენზე შედიდურად ამხედრებული, უკან ჯარისკაცები მიჰყვებიან. ისეთი სახე აქვს, თითქოს მუდამ უკმაყოფილოაო. ეტყობა, ყველას, ყველას ეშინია მისი. მე კი სულაც არ მეშინია იმიტომ, რომ ერთხელ სულ სხვა-ნაირად შემოხედლა.

– მისმინე, რა მოხდა შემდეგ. – პოლკოვნიკები ტრიბუნალზე გასასამართლებლად ლონდონში ჩამოიყვანეს, პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს და ცოტა ხნით შინ გაუშვეს ცოლ-შვილითან გამოსამშვიდობებლად.

– ეს ნამდვილი ამბავია? – გაოცებულმა ბავშვმა თვალეზი დააჭყიტა.

– კი, ძვირფასო!

– რა საინტერესოა! ზღაპარსაც კი სჯობია. მერე რა მოხდა, მამი! დედიკო, შენ რატომ ტირი!

– არაფერი, შვილო... ის უბედური ოჯახები გამახსენდა და...

– ნუ ტირი, დედი! ნუთუ არ იცი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება! აი, ნახავ! ყველა ამბავი კარგად მთავრდება ხოლმე. მამი, რაღას უცდი, თქვე ბარემ, რომ სამივენი დიდხანს, დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად და დედა აღარ იტირებს. ნახავ, დედა, ყველაფე-

რი თუ კარგად არ დამთავრდეს. განაგრძე, მამა!

– პოლკოვნიკები სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. სასამართლო ერთ საათს გრძელდებოდა. ისინი დამნაშავედ სცნეს და სამივეს დახვრეტა მოუსაჯეს.

– რო?! მათ მოკლავენ, მამი! შენ იცნობ მაგ პოლკოვნიკებს, მამა?

– კი, ძვირფასო.

– მერე, მამი?

– სამხედრო ტრიბუნალის ზოგიერთ წევრს შეებრალა პოლკოვნიკები. ეახლნენ გენერალს და მოახსენეს: – ჩვენ შევასრულეთ დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ ახლა გთხოვთ, ორი დამნაშავე შეიწყალოთ, გარწმუნებთ, სხვების ჭკუის სასწავლებლად ერთის დასჯაც საკმარისია. – მაგრამ გენერალი ფიქრობდა, თუ მე ჩემს სინდისს ვუღალატებ, ამით ჯარისკაცის მუნდირს შევბღალავო. გენერალმა დიდხანს იფიქრა, მრისხანე სახე თანდათან მოუღალა, მერე ბრძანა:

– მსჯავრდადებულებმა კენჭი ყარონ, ვისაც კენჭი შეხვდება, მოკვდება, ორი დანარჩენი შემიწყნარებიაო.

– მერედა, რომელი უნდა მოკვდეს? საწყალი, როგორ მეცოდება!

– არა, შვილო, მათ კენჭისყრაზე უარი თქვეს. ის, ვინც თავისი ხელით კენჭს ამოიღებს, თვითონვე გამოუტანს თავის თავს სიკვდილის განაჩენს, ეს კი მაინც თვითმკვლელობაა! ისინი ქრისტიანები არიან. ბიბლია კი ადამიანს თავის მოკვლას უკრძალავს. თანაც, თუ სამივე დამნაშავე ვართ, სამივე ერთად დავიხრცოთო, განაცხადეს. ამიტომ სამივეს დახვრეტენ.

– უცბად ფეხის ხმა გაისმა. კარზე დააკაკუნეს და ოთახში რაზმი შემოვიდა. ოფიცერი პოლკოვნიკს მხედრულად მიესალმა, პოლკოვნიკიც მიესალმა. ცოლი გვერდით ედგა, უდიდესი სულიერი ტანჯვისაგან სახე მოქცეოდა. ვახებრებულ ბავშვს თვალეზი დაჭყიტო შესცქეროდა ამ ამბავს.

– პოლკოვნიკი ცოლ-შვილს გამოემშვიდობა და მტკიცე ნაბიჯით გავიდა სახლიდან.

– ხომ გეუბნებოდი, დედიკო, კარგად დამთავრდება-მეთქი ყველაფერი! მამა თავისი თვალით ნახავს იმ პოლკოვნიკებს და...

– მოდი ჩემთან, ჩამეხუტე, ჩემო მამიბჭო, ჩემო საბრალო გოგონა!

მეორე დღით დარდით გულმოკლული დედა საწოლიდან ველარ წამოღდა. აბის აუკრძალეს ავადმყოფი დედის ოთახში შესვლა. დედა ავადაა, არ შეაწუხო, გარეთ ირბინე და ითამაშეო.

თბილად შეფუთული აბი შინიდან გავიდა. კარგა ხანს თამაშობდა. მერე უცბად მოაგონდა, რომ მამას შეავიანდა და გადაწყვიტა, წავიდეს და შეატყობინოს დედის ავადმყოფობა.

გენერალ კრომველს ტრიბუნალის ერთ-ერთმა წევრმა მოახსენა, რომ პოლკოვნიკებს კენჭისყრა არ სურთ. სამივენი ერთად ვიყავით

და, თუ დამნაშავენი ვართ, სამივენი ერთად დაგვსაჯონ.

- სამივე არ მოკვდება! მათ ნაცვლად სხვას ვაყრვენიბო კენჭს. ადიუტანტო, ქუჩაში გადიო და პირველივე შემხვედრი ბავშვი შემომიყვანე!

ადიუტანტმა ქუჩაში გახვეული, თოვლით შეფიფქილი აბი შემოიყვანა. ბავშვმა მიიღბინა რესპუბლიკური ხელისუფლების მეთაურთან, იმ ადამიანთან, რომლის სახელის გაგონებაც კი დიდსა და პატარას შიშის ზარს სცემდა, მუხლებზე შეახტა და შესძახა: - მე თქვენ ვიცნობ! თქვენ გენერალი ხართ. ჩვენი სახლის წინ ჩაიარეთ, მაშინ დაგინახეთ. ყველას ემინოდა თქვენი, მე კი არა. ჩემთვის მკაცრად სულაც არ შემოვიხედავთ და, აბა რატომ უნდა შემშინებოდა. ხომ გახსოვთ, წითელი კაბა მეცვა, არ გახსოვთ!

გენერალს მოღრუბლულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

- ძვირფასო გოგონავ, მრცხვენია... მაგრამ, რომ არ მაგონდება...

აბიმ საყვედურის კილოთი გააწყვეტინა: - ნუთუ მართლა არ გახსოვთ? აი, მე კი არ დამეწყვიტინათ.

- მრცხვენია, ძალიან მრცხვენია, ოღონდ ახლა მაპატიე. დღემდამს საუკუნო მეგობრები ვიყით! თანახმა ხარ?

- ცხადია, თანახმა ვარ, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რატომ ვერ დამიმახსოვრეთ?! ძალიან გულმაეიწყია უნდა იყოთ. მჯერა, რომ სინამდვილეში თქვენ კარგი და კეთილი ადამიანი ხართ.

- შენ ჩემი გოგონა მომაგონე. ახლა იგი უკვე დიდია. პატარობისას ისიც შენსავით ნაზი და მომხიბვლელი იყო, შენსავით საყვარელი, ჩემო პატარა ჯადოქარო, ყველას გულის დამპყრობი და მომწონსველი. იმასაც ასე უყვარდა ჩემს მუხლებზე შესკუპება. მას შემდეგ დიდმა დრომ გახვლო, დავიწყებას მიეცა ის ტკბილი წუთები, გახუნდნენ მოგონებები, შენ კი კვლავ გააცოცხლე ისინი. შენ შეუმსუბუქე ტვირთი სამშობლოზე ზრუნვით დაღლილ ადამიანს. ბედნიერი იყავი, შვილო!

- ძალიან, ძალიან გიყვარდათ თქვენი გოგონა?

- ძალიან, ჩემო პატარა მეგობარო, ის მბრძანებლობდა, მე კი ვემორჩილებოდი. შენც ახლა ჩემთვის იგივე ხარ, რაც ჩემი გოგონა იყო მაშინ - შენ მბრძანებლობ, მე - გემორჩილები. შენთან პატარა სათხოვარი მაქვს.

ერის მეთაურმა აბის ლუქის სამი პატარა რგოლი მიაწოდა, ორი რგოლი თეთრი იყო, ერთი - ხასხასა წითელი. სწორედ ამ უკანასკნელს - წითელ რგოლს - უნდა გადაეწყვიტა ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბედი.

- ოთახში შეხვალ, სამ კაცს დაინახავ, მიდი მათთან, თითოეულს ხელში თითო რგოლი ჩაუდე და ჩემთან დაბრუნდი.

აბი მეორე ოთახში გავიდა და გენერალი მართლ დარჩა. სასოებით გაიფიქრა: „მალაღმა ღმერთმა უწყის, რომელ პატიმარზე უნდა შეჩერდეს არჩევანი და თავისი ნების შესასრულებლად უმანკო არსება გამოვზავნა. ყველა შეიძლება შეცდეს, ის კი არა! საოცარია და ბრძნული საქმენი მისი!“

აბი მეორე ოთახში გავიდა. ერთ ხანს ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა სიკვდილმისჯილთა ოთახს. უცებ გოგონას სახე გაეზაღრა: „აგერ, ის ხომ მამაჩემია... ავღებები და ყველაზე ლამაზ რგოლს მას ჩაუუდებ ხელში“, სამივეს სათითაოდ ჩაულო ხელში რგოლი. მერე მამას იღლიის ქვეშ შეუძვრა. მალაღმა აიხედა და წამოიყვირა: - მამიკო, მამიკო, დახედე, რა გაქვს ხელში, ეს მე ჩავიდე, მე!

მამამ დახედა საბედისწერო საჩუქარს, გული სიყვარულითა და სიბრალულით ავესო, მუხლებზე დაეცა და თავისი უნებლიე ჯალათი გულში ჩაიკრა. ჯარისკაცებს, ოფიცრებს, სიკვდილს გადარჩენილ პატიმრებს - ყველას, ვინც ოთახში იყო, ამ შემადრწუნებელმა ტრაგედიამ ელდა დასცა, ყველა ტიროდა და არც ერთს რცხვენოდა თავისი ცრემლისა. კარგა ხანს ხმა ვერავინ ამოიბო. მერე ოფიცერმა მსჯავრდადებულს მხარზე დაადო ხელი და თანაგრძნობით უთხრა:

- გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა წაიყვანოთ.

- წაიყვანოთ? სად უნდა წაიყვანოთ, სად?!

- ღმერთო მიშველე! მეორე ოთახში უნდა გაიყვანო...

- ვერსადაც ვერ წაიყვანო! დედა ავადა და მამა უნდა წაიყვანო შინ.

ბავშვი მამას ხელიდან გაუსხლტა, ზურგზე შეაკოცდა: - მზად ვარ, მამილო, წავიდეთ!

- ჩემო საბრალო გოგონა, შინ ვერ წამოვალ, სადაც მიბრძანებენ, იქ უნდა წავიდე.

ბავშვი გენერალით გავარდა ოთახიდან. ცოტა ხნის შემდეგ იქ მყოფნი საოცარი სურათის მოწმენი გახდნენ. გოგონას ხელი ჩაველო გენერლისათვის, იმ კაცისათვის, რომლის დანახვაც კი შიშის ზარსა სცემდა ყველას, და წინ მიუძღოდა.

- სერ, დედა ავადა, მამის ნახვა სურს, ამით კი ჩემი ლაპარაკის გაგონებაც არ უნდა... მამა სადაღაც მიჰყავთ.

გენერალი მეხდაცემულივით იდგა.

- მამაშენი, შვილო?! ეს კაცი მამაა შენი?

- მამაა, მაშ ვინ უნდა იყოს! იგი ყოველთვის ჩემი მამა იყო! აბა, სხვა ვის მიეცემდი ასეთ ლამაზ რგოლს, თუ არა მამას! მე ხომ მამა ძალიან, ძალიან მიყვარს.

გენერალს სახეზე უდიდესი სულიერი ძვლები დაეცყო.

- ღმერთო სამართლიანო, შენ მიშველე! ეშმაკმა ისეთი ბოროტება ჩამადენინა, რომლის მსგავსი არასოდეს ჩაუდენია ადამიანს. მე არაფერი შემიძლია, არაფერი! რა უქნა, რა ვიღონო, - წარმოთქვა გენერალმა.

გოგონამ მოუთმენლად წამოიძახა:

- კი მაგრამ, თქვენ ხომ შეგიძლიათ უბრძანოთ, გაუშვან მამაჩემი! ჰოდა, უბრძანეთ! რას ელოდებით, უბრძანეთ! წელან არ დამპირდით, რასაც მიბრძანებ - შეგისრულებო! ახლა უარს მეუბნებით?..

გენერალს მკაცრი, უხეში სახე გაუნათლდა, თავზე ხელი დაადო პატარა ტირანს და თქვა:

- მაღლი უფალს, რომ წელან ასე დაუფიქრებლად პირობა მიმაცემინა ამ ბავშვისათვის. შენც გმადლობ, უბადლო ბავშვო! გმადლობ, რომ შემახსენე ჩემი დანაპირები! ოფიცერო! დაემორჩილეთ ბავშვის ბრძანებას, იგი ჩემი სახელით ველაპარაკებათ. პატიმარი შეწყნარებულია, გაათავისუფლეთ!

ეს მოთხრობა ნამდვილ ამბავზეა ავებული. თავისი სისპეტაკითა და უშუალოებით, თავისი ნაზი და მოსიყვარულე გულით პატარა, გონიერმა აბიმ დათრგუნა მკაცრი და პირქუში, კანონების მორჩილი, ჯარისკაცის მუნდირის ტყვე, მაგრამ პატიოსანი და პირდაპირი გენერალი ოლივერ კრომველი.





ამ მცირე მოგონების ავტორი, მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხულაძე, უფროსი თაობისათვის საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. გატაცებულმა თავისივე იდეით – კლასიკური მუსიკა ხალხს, მოსკოვის კონსერვატორიიდან, საკონცერტო დარბაზების ნაცვლად ვიოლინოთი მიაშურა ქუჩებსა და ეზოებს. იქ მისი მსმენელები იყვნენ მრეცხავეები, მეეტლეები, შინამოსამსახურეები, მუშები და ყველა ჯურის ხალხი, რომელსაც არ მოესმინა კლასიკური მუსიკა, რომლისთვისაც უცხო იყო ბახის, გრიგის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, მასნეს და სხვათა დიდებული ჰანგები. ასე ეზო-ეზო, განუყრელი ვიოლინოთი, მოიარა მან მოსკოვი და პეტერბურგი, მთელი ბულგარეთი და, რასაკვირველია, საქართველო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ძნელად მოიძებნება ქალაქი თუ სოფელი, სადაც ილიკო ქურხულაძე არ ჩაუტარებია ლექცია-კონცერტები სკოლებში, კლუბებში, ქუჩებსა თუ ეზოებში. რაჭაში მოგ ზაურობიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, ბიჭია ბურდილაძისაგან შეისწავლა სტვირზე დაკვრა და სიცოცხლის პოლომდე, უკვე სტვირითა და ვიოლინოთი აგრძელებდა თავის საქმიანობას. სტვირი ადრე შეიყვარა. უყვარდა მისი ბავშვობის დროს თბილისის ქუჩებსა და ეზოებში მოსიარულე მესტვირეები და გატაცებული დასდევდა მათ უკან. მოგონებაში აღწერილი ამბავიც მისი ბავშვობის დროინდელია.

– საერთოდ, მე შემინიშნავს, რო ადამიანი რამდენადაც მალაა განათლებით, იმდენად კარგად გვაფასებს ჩვენ – მესტვირეებს, თქვა შეკრებილთაგან ერთერთმა

– ეგ ხომ ეგრეა, არ იცი? – ნამოდგა ერთი ყველაზე მოხუცი მესტვირე და ისე თქვა, – თბილისშიდ დავითობას მამადავითშიდ მივსდევდი ხალხს. მთის ძირს რო მივუახლოვდი, მარჯვნივ იმ სახლს გავხედე, რომლის ეზოშიდ დიდი კაკალი რო სდგას, შენ ქვე იცი, მოსიკ, ის კაკალი.

- რავა არა, ყველამ ქე იცის.
- ჰო და, გავხედე და დიდი ქე-

იფიც დავინახე სწორედ იმ კაკლის ძირშიდ. შეველ დაკვრით და მივულოცე-ყე დავითობა.

– ძია კაცო! – გადმომყვირა ერთმა, – ჩვენ აქ იმიტომ შევიყარენით დღეს, რომ საქართველოს მეფეს ვირჩევთ. აბა, შემოგვხედე ყველას სათითაოდ და გვითხარ: ვინ ავირჩიოთ? მეფედ ვინ გამოდგება?...

მე ავალილინე შტვირი, დავაკვირდი ყველას, ერთი ისე იჯდა, მეორე ასე, მესამე ფორთხალობდა, მეოთხე ფახიფუხობდა, მეექვსე სულ იკრიჭებოდა და ასე... მხოლოდ ერთი იჯდა დარბაისლურად და ლიმილით შემომცქეროდა. მისთანა არც ერთი არ იყო

და მეც იმაზე დავადე ხელი: რაც თქვენ ღვინო გიღვევათ, ქვეყანაზე არ ნახულა... მეფედ გირჩევთ იმ შავგვრე მანს, ღვინოთი არ გალახულა...

– ვაშა!.. ვაშა!.. ვაშა! – შემოჰკრა ყველამ ტაში, მომვარდნენ და ჩემი შტვირით ცაში მისროდნენ. მერე ის შავგვრემანი ნამოდგა და აქედან მივხვდი, რომ თამადაც ისა ყოფილა და მითხრა:

- ძია კაცო, აბა, დავგვთვალე ამ სუფრაზე რამდენი ვისხდებით?
- მაგას რა დათვლა უნდა: სამოცამდე ქე იქნებით.
- ყაბულსა ვარ, კარგი. მე, რო-

ტიციან ტაბიკა

ლექსი მენყარი

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

მე დავიბადე აპრილის თვეში, გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან. მანვიმს სითეთრე და წვიმის თქეში, ცრემლებად მოდის ჩემს თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება. ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

საქართველოს ლექსის მახანაპარანი

იტყვიან ასე, იყო სანყალი ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი, ლექსები იყოს იმის საგზალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვალედა მას სიკვდილამდე, ქართული მზე და ქართული მინა, ბედნიერებას მას უმაღლავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

გორც შენგან ამორჩეული სა- ქართველოს მეფე, გიბრძანებ: ერთი საათის განმავლობაში ყვე- ლას თავის შესაფერი ლექსი უნ- და უთხრა. თუ ვერ მოასწრო, მაგ სტვირს ჩამოგართმევ და სხვა მესტვირეს ვაჩუქებ და თუ მოას- წარი, აი, – ჩაიყო ჯიბეშიდ ხელი, ამოიღო ოქროს თუმნიანი და მიჩ- ვენა, – ჩემ მხრიდან ამას მოგცემ.

– კი, ბატონო, ხოლო, თუ ვა-
დამდე ადრე მოვასწარ, სამი მაგ-
დენი უნდა მომცეთ.

– მაგაზედაც თანახმა ვარ, –
მიპასუხა, – აბა, ყმანვილებო, გა-
ავსეთ ჭიქები და დაამზადეთ ამ
მესტვირეს სადღეგრძელო, – გას-
ცა განკარგულება სუფრასაც. და,
როცა სუფრა განკარგულების
შესრულებას შეუდგა, ლაქია, რო-
მელიც, თურმე, ჩვენებური ყოფი-
ლა, მოვიდა და ჩუმად ყურში ჩამ-
ჩურჩულა:

– არ მოსტყუვდე: მეფედ რომ
ამოირჩიე, ის ილია ჭავჭავაძეა, –
კარგი თქვა, მეც ვუთხარ, – აბა

– ვაშა! ვაშა! ვაშა!.. – ხელმე-
ორედ წამოხტნენ მოქეიფენი და
სიცილ-ხარხარით ამისროლ-და-
მისროლეს ხელში.

მაშინ ილია წამოდგა, მომთხო-
ვა ყანნი, ჩატკეპნა შიგ სალფეტ-
კი, ჩაისხა ღვინო და ჯერ მე
მადღეგრძელა და დამლოცა და
მერე მთელი საქართველოს მეშ-
ტვირეები. ჩემ დღეში იმისთანა
მოხდენილი და ღრმა სიტყვა მე
არსად გამეგონა. რა არა თქო?
რეებად არ გადაგვაქცია. აქედან
გავიგე, რომ ჩვენც სასარგებლო-
ნი ვყოფილვართ სამშობლოსათ-
ვის. ფულიც ბლომად მომცეს. მა-

შინ ამხანაგებად ვიყავით მე, სო-
ლიკუნა და ვანია. მე ვმუშაობდი
თბილისში, სოლიკუნა კახედშიდ,
ვანია-კი იმერეთშიდ. იმათაც
კარგი ფული მოიტანეს და რომ
ერთად შევაქუჩეთ და სამად გავი-
ყავით, კარგა ფული მერგო. ამ
ფულით იყო, რომ თაფლა ხარიც
ვიყიდე და სახლსაც ყავარი გამო-
ვუცვალე.

– მაშინ სოლიკუნასაც კარგი
საქმე უქნია: შტვირი თელავში მე-
თოფე თედოსთვის შეუჭედინე-
ბია.

– შე კაცო, გორჩიდ ვერ შეაჭე-
დინა ოქრომჭედელ ალექსის?
უფრო უკედ არა სჭედავს?

– მართლა და ალექსი სჯობია
თედოს.

– ალექსის სამი ქალი ჰყავს,
იმათთვისაც უსწავლებია შტვი-
რის მოჭედა. იცით თქვენ ესა?

– რაფა არა... ეგ ქე, ყველამ ვი-
ციტ...
– წამო შვილავ! წამო მივდი-
ვარ, აქ ხომ არა რჩები? – დამიყ-
ვირა ამ დროს ჩემმა ძია თომა-
მაც ნისქვილიდან და მეც, რალა
ჩარა მქონდა, უნდა წავსულიყავ.
ისე-კი არ მინდოდა აქედან წას-
ვლა რომა... ნეტავ კიდე რეებს
იტყოდნენ?..

ილიას რაფა წავაგებინებ სანაძ-
ლეოს თქვა.

– მე შემედლო თითო სიტყვით
ნახევარ საათში შემესრულებინა
ბრძანება, მაგრამ ერთმა საათმა
უკვე განვლო და მე მხოლოდ ოცს
ვუთხარ შესაფერი ლექსი.

– გათავდა! – შეჰყვირა ყვე-
ლამ, – გადაეცი სტვირი: სანაძ-
ლეო წაგებული გაქვს.

– მე წავაგე სანაძლეო,
ის მოგების ღირსიაო,
თქვენც მიეცით საქართველო:
ეგეც ხომ იმისიაო.

– ვაშა! ვაშა! ვაშა!.. – ხელმე-
ორედ წამოხტნენ მოქეიფენი და
სიცილ-ხარხარით ამისროლ-და-
მისროლეს ხელში.

მაშინ ილია წამოდგა, მომთხო-
ვა ყანნი, ჩატკეპნა შიგ სალფეტ-
კი, ჩაისხა ღვინო და ჯერ მე
მადღეგრძელა და დამლოცა და
მერე მთელი საქართველოს მეშ-
ტვირეები. ჩემ დღეში იმისთანა
მოხდენილი და ღრმა სიტყვა მე
არსად გამეგონა. რა არა თქო?
რეებად არ გადაგვაქცია. აქედან
გავიგე, რომ ჩვენც სასარგებლო-
ნი ვყოფილვართ სამშობლოსათ-
ვის. ფულიც ბლომად მომცეს. მა-



გაგანია ომია. შიმშილობაა, მაგრამ შობა-ახალწლისთვის მაინც საგანგებოდ ვემზადებით. დღემ დამქანცველ ფუსფუსში ჩაიარა. დავიღალეთ. ახლა ბავშვები გავარვარებულ ღუმელს ვუსხედვართ და ვახშამს ველოდებით.

მრავალი ნუგბარი კერძი გაკეთდა. პაპამ ბაზრიდან ხორცი მოიტანა, ხვალ დილით ამ მოყინულ გზაზე ვერ ვივლით, ქვევრსაც გადახადა. ორი შუშის ჭურჭელი და ერთი ხელადა გაავსო ოქროსფერი რქანითელით, ეგებ სტუმარი გვენვიოს და მზად იყოსო. სიმინდით ნასუჭი, ჩაკვერცხილი დედალიც დაიკლა. რო გენახათ რა სურნელი ოხხარაში დედალს და ჩაკრახულ ხორცს?!

ბაბომ მურაბები გახსნა, მწნილი ამოიღო. ჯიშკილა და ჯონჯოლი. კომბოსტო და პამიდორი, კიტრი და ნიორი, წინაკა... ბავშვები ვსხედვართ და ველოდებით.

- ჭამეთ და დაწეით, დილაზე ადრე უნდა ავდგეთ. შობა დღე თენდება. დიდი დღესასწაულია, - გვითხრა ბაბომ და თავისი საქმე განაგრძო.

ბავშვები ვსხედვართ და ველოდებით.

- რას უზიხართ შელოცვილებით ვით?! ჭამეთ და დაწეით, რა



გითხარით, დილაზე ადრე უნდა ავდგეთ. ქრისტეშობა თენდება, - ხმა გაიმკაცრა ბაბომ.

- ბაბო, ცოტა ხორცი მაჭამე რა, მშია! - თითქოს თავისთვის თქვა ყველაზე უმცროსმა დეიდაშვილმა, ზაურიმ.

- დღეს ხორცი არ შეიძლება, საშობაო მარხვის ბოლო დღეა, ღმერთი დაგინახავს და გაგვირისხდება. ეგე მწნილეული, შოთი და კვესა, მერე მურაბა, ჩურჩხელა და ჩირი დააყოლეთ და დაწეით, - უფრო მკაცრად თქვა ბაბომ.

- ბაბო, - თეფშით მივიდა ზაური, - ოღონდ ერთი ბარკალი მომიჭერი და აი, იმ ბნელ კუთხეში დავჯდები და იქა ვჭამ. ღმერთი რას დამინახავს, ჭრაქი ძლივს ანათებს მაგიდას, გეხვენები რა ბაბო, - და თეფში გაუნოდა. ბაბომ ღიმილი ძლივს შეიკავა, მაგრამ თავის

სიტყვას მაინც არ გადაუხვია: - არ შეიძლება, ხვალ გინდა მთელი დედალი შეჭამე.

დღეს აღარც ის უმცროსი დეიდაშვილი, ზაური და აღარც ბიძაშვილი არის. უწინ, როცა ამ მარხვის დღეს ვისხენებდი, გული მწყებოდა ბაბოს სიმკაცრეზე, მაგრამ ახლა დიდად მაღლიერი ვარ, რადგან ჩემი მეგობრები, თითქმის ყოველთვის ჩივიან, რომ უჭირთ მარხვის შენახვა. ზოგს პირველი კვირა ეძნელება, ზოგს - ბოლო, მე კი გული თავად მთხოვს ადათის შესრულებას. მარხვის ბოლოს ვალმოხდილი, გამართული ვხვდები უფლის დღესასწაულს და მიხარია, რომ იშვიათად, შემთხვევით თუ გამომჩნება - შევერევი მარხვას და დავარღვევ, მამა-პაპის დადგენილ წეს-ჩვეულებას.

ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს მარხვას, იცოდეს, რა არის ის და რა სარგებლობა მოაქვს. ეს არის ღვთის წინაშე ვალის მოხდა, ნებისყოფისა და სულის წრთვნა, ბარაქის დაგროვება... და ვინ მოთვლის, რამდენი სასარგებლო რამ.

- ძლივს მოვედით აზრზე, რომ სხეულისა და გონების წვრთნაზე უფრო აუცილებელი სულიერი წვრთნაა. დიდება შენდა, უფალო!!! იმიტომ არი ჩვენი ერი უკვდავი, რომ წინაპართა სულელებთან ერთად ვართ ყველგან. ეს გვაძლევს ძალას, ვიცი ლოცვაში გულწრფელი, შრო-

ტერენტი ბრანელი

საქართველოს ლექსის მახანძარანი

სადღაც და ვიღაც

ირგვლივ სივრცეა და ფიქრი ბევრი, ეს ცეცხლიანი სურვილიც მოკვდა. სადღაც შორს ტყესთან მატარებელი სადგურს კივილით მიუახლოვდა.

სადღაც სანთელი იწვის კუბოსთან და იბურება ქალაქი ნისლით. სადღაც დეპეშას ლებულობს ფოსტა და აპარატის რაკრაკი ისმის.

ალბათ ქარები დღესაც გვეძებდა, რომ კვდება გული - მსოფლიო ღერძი. იქ ლაზარეთის საშიშ კედლებთან სწუხს ავადმყოფი და სიკვდილს ებრძვის.

ხშირად მიცქერის უღირსი თვალი, მე შენზე ფიქრი ვერ დავამთავრე. სადღაც ზის გემზე მწუხარე ქალი და ზღვიდან უმზერს გადახრილ მთვარეს.

მე ვწუხვარ, რომ აქ არავინ არი, მოკლდება რიცხვი ჩემი დღეების. იქ სადღაც ტყეში შრიალეებს ქარი და კაცებივით დგანან ხეები.

ალბათ იქ ვიღაც გარდაიცვალა (გავიდა ღამე და ვნება მწველი). ის არ მეყოფა, რაც რომ ვინვალე და კიდევ სხვაგვარ წამებას ველი.



ფერეიდნელი მხატვარი

● ფერეიდნელი ქართველი ჰასან ონიკაზი ისეთივე ქართველია, როგორც მისი თანამემამულეები, რომლებიც მიუხედავად ოთხი საუკუნისა, კვლავ ქართულად უბნობენ შორეული ბახტარიის მთებში, ფერეიდნის პროვინციაში.

ოფიციალურად ირანის მოქალაქე ჰასანმა თავისთავს არსენა უწოდა, ხოლო გვარად ძველი მამაპაპური, შთამომავლობით შემონახული ონიკაშვილი აღიდგინა და თხუთმეტი წლის ასაკში თავისი თავი ნათესავებსა თუ ტოლ-მეგობრებში არსენ ონიკაშვილად გამოაცხადა.

არსენა ახლა 16 წლისაა, ცხოვრობს ფერეიდნის პროვინციის ცენტრში, ფერეიდუნ შაჰრში – ანუ, როგორც იქაური ქართველები ეძახიან, ზემო მარტყოფში, სადაც მას უკვე ცნობილ მხატვრად თვლიან. არსენას კი მხოლოდ ირანული დაბირისთანი ანუ ჩვენებური არასრული საშუალო განათლება აქვს მიღებული.

მისთვის ხატვა არავის უსწავლებია და არც ვინმეს ნაუქეზებია. მან ბავშვობიდანვე დაიწყო მხატვრობა და ფერეიდნელებში, როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ სახელიც მოიხვეჭა.

იგი საქართველოში არასოდეს ყოფილა, თუმცა მისი თქმით, იგი ყოველთვისაა საქართველოში თავისი გონებითა და სულით. მან მშვენივრად შეისწავლა ქართული წერა-



კითხვაც და წარმოიდგინეთ, ყველა ქართულ ასო-ბგერას იმავე ასო-ბგერით დანყებული საგანი მიუხატა. მაგალითად: პ – პეპელა, კ – კოკა და სხვა. მას ყოველი ქართულად დანერილი წიგნი თუ ჟურნალი, რაზეც კი ხელი მიუწვდა, წაკითხული აქვს. თუმცა ქართული წიგნის დიდ ნაკლებობას განიცდის. მას ძალიან უყვარს საქართველოს ისტორია და ამაცობს ჩვენი ისტორიული გმირებითა და სახელოვანი ადამიანებით, რაც ასახა კიდევაც თავის მხატვრულ ტილოებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფერეიდუნშაჰრის კლდეზე სტალინიც კი დახატა ისეთ თვალსაჩინო ადგილზე, რომ მთელი ქალაქი ხედავს.

არსენ ონიკაშვილი – ეს ის მომავალია, რომლითაც ჩვენი ერი იამაყებს, ხოლო მის ნამუშევრებს კი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება, იმედია, მომავალ წელს ქართველ ხელოვნების მოყვარულთ გააცნობს.

ნოდარ კოჭლავშილი

მამი – დაულალავი, ბრძოლაში გამარჯვებული.

გაცხონა გამჩენმა. ნათელში იყოს შენი სული, ბაბო; ილოცე ჩვენი სიკეთისათვის, შეავედრე ღმერთს ჩვენი თავი. გვაპატიოს შეცოდებანი ჩვენი!

– ამინ!!!

კაოლო იაშვილი

საქართველოს ლექსის მხანაქარანი

პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა ლექსის მადანი და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები. ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი, თუ სამუდამოდ, უნაპიროდ არ გაბაღდები.

არი მკვლევლობა, არი ომი, არი ხანძარი, მინისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად, მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს, ეს კაცია ლექსის მწერალი, მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო, რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა, რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო, რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომასხურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი და სული, აზრი, ფიქრი იქცნენ იმის მონებად. გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი, აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაინერა, იმდენი წელი ჩამომენერა ცხოვრებაში მე, ადამიანს, და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი, მაშინ ეს მძორი ყვაეებისთვის გასატანია.

მწერალი ციალა არდაშელია დიდი ხანია მუშაობს მითოლოგიურ თემებზე. 1988 წელს გამოსულ მის რომანში – „იათხანელი ამორძალები“ – აღწერილი ამბები ხდება უშორეს წარსულში, აიუტის მეფობის წინარე ხანაში.

მრავალი ჩვენი და უცხოელი მკვლევარის აზრით, აგრეთვე მითოლოგიის თანახმად, ინდო-ევროპელთა გამოჩენამდე ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აუზში ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, პროტოქართველური ტომები. რომანში ავტორს თავისუფლებისმოყვარე მებრძოლ ამორძალებზე არსებული მითები ახლებურად აქვს გააზრებული. ასევე, ახლახანს გამოქვეყნებულ ციალა არდაშელიას რომანში „უკამი მოვალს!“ – მითი და რეალობა ერთმანეთს ვადაჯაჭვული. ხოლო პიესა „შენი რაშები ჭიხვინიბენ, აქილეუს!“ – ამორძალთა დედოფლის პენთესილევას (ციხიას) და აქილეუსის ურთიერთობის მითოსურ ამბავზეა აგებული.

ამორძალთა დედოფალი, რომელიც პელაზგთა ტროელების მხარეზე იბრძვის და თავდაც პელაზგთა, ორთაბრძოლაში იწვევს უძლეველ აქილეუსს. აქილეუსიც წარმოშობით პელაზგია, მაგრამ ბერძენთა მოკავშირე ვახლავთ. ამ ორთაბრძოლაში აქილეუსი კლავს ამორძალთა დედოფალს, მაგრამ მასში დიდი სულიერი ძვრები ხდება. ამ კათარზისის შემდეგ იგი უკვე აღარ არის უწინდელი, ძველებური აქილეუსი.

გბეჭდავთ ნაწევრებს ამ პიესიდან. პიესა სრულად ქვეყნდება კრებულში „დრამატურგია“.

აქილეუსი: – აი, მე და შენ შევხვდით ერთმანეთს – შენ ბედის ნებიერი ალექსანდროსი, მე აქილეუსი, მირმიდონელთა უფლისწული! – შენ, ვინც აქამდე გამიბოდი ყოველნაირად. ჩანს, ღმერთებმა შთაგაგონეს ეს შერკინება და ირწმუნე, რომ დღეს ძალგიძს დამარცხება აქილეუსისა!

პარისი: – დიახ. აქამდე ასე ვახლდათ. მაგრამ ამ დღით, ღმერთების ნებით, უნდა დაბნელდეს მზე აქილეუსის!

აქილეუსი: – მე კი მეგონა... შენგან სიტყვას ველოდებოდი მონანიების! თურმე... მოვტყუედი!

პარისი: – მონანიება?! ვის წინაშე? რისი გულისთვის?! სანანებელი რა უნდა მქონდეს?

აქილეუსი: – თუნდაც ის, რომ შენს პირადულ სიამბტკბილობას ეწირება ამდენი ხალხი! და მათ შორის შენიახნები, შენი სისხლის და შენი ხორცის!

პარისი: – მე ძალით არვიც გამიტაცია. ქალი წამომყვა თავისი ნებით, რადგან მარჩია თავის მეუღლეს ყოველნაირად. მიზეზი ომის სხვა რამ ვახლავთ, ეს შენც კარგად მოგეხსენება. ესეც არ იყოს, საკუთარი კეთილდღეობა ამომძრავებს მიწისშვილთა უმეტესობას, თუმც შეიძლება ენით არ თქვან ეს ყოველივე, მაგრამ გულში ხომ ასე ფიქრობენ. მეც მათ შორის მეგულის თავი, ოღონდ მე ამას ვამბობ ხმამაღლა, დანარჩენები გულში მალავენ. არა მგონია იმ სიშორიდან წამოხვედი ტყუილ-უბრალოდ. რომ სახელი-სა და ნადავლისთვის არ ზრუნავდე დღე-ნიადაგ! კარგად ვხედავ, სიმართლისათვის თავი არავის არა სტკივა, არც ერთ მხარეს!

აქილეუსი: – შენ ერთ რამეში მართალი ხარ: სიმართლისათვის თავს არ

იკლავს ბევრი ჩვენგანი! თუმცა ახლა აღარა დირს ამის გარჩევა, დროც არ არის. მაშ, მოდი ნულარ დავეოვნებოთ. საქმეს შევუდგეთ, რაკი არ იშლი და გწადია ჩემი მორევა – სცადე ბედი. თუმც გირჩევდი, შენი პირადი თაოსნობით შეგეწყვიტა ეს ხოცვა-ჟლეტა და ელენეც დაბრუნებოდა თავის პირველ ქმარს. მაშინ საბაბიც ვაქრებოდა და ადვილად ვერ შეუტევდნენ დანაელები ტროას დამცველებს!

პარისი: – ვიშ, რა ჭკუაზე მობრძანებულხარ ამ სისხამ-დღით!.. მე მირჩევნია გაწყდეს სუყველა თუნდაც ერთ დღეს, ვიდრე რაიმე პირადული დავუთმო ვისმეს – ვინც უნდა იყოს! ტროელი თუ არგიველი, ჩემთვის ერთია! ილიონში მბრძანებელი მე უნდა ვიყო და ჩემმა ცოლმაც სიბერემდე იდედოფლოს უნდა ტროაში! მე ასე მსურს და ასე მწადია!

აქილეუსი: – დაე, ღმერთებმა გადაწყვიტონ ვინ ვის სჯობია – ძალით თუ ხერხით. და ვის ძალუძს მზე დაუბნელოს მოკვდავ მიწისშვილს! დავიწყით აბა!

პარისი: – დავიწყით! მხად ვარ! უზენაეს ღვთაებას შევთხოვ, შუბის სროლა თუ ხმლის მოქნევა უკანასკნელი იყოს შენთვის, რომ ვერც საქვეყნოდ სახელგანთქმულმა შენმა ფარმა დაგიცვას და დაგიფაროს, რომ გულმკერდი შეგინგრიოს ჩემმა შუბმა, მარჯვედ ნასროლმა!

აქილეუსი: (გულმომწყალედ იდიმება) – აბა შენ იცი, უშიშარო, ნულარ ყოვნი! შენ პირველმა მესროლე შუბი! (იწყება ორთაბრძოლა – ჯერ შუბებით, მერე გადადიან სატყვერებზე. აქილეუსი გააგდებინებს ანახლად პარისს იარაღს. უსატყვეროდ დარჩენილი, გაწბილებული პარისი სასოწარკვე-

პარისის და აქილეუსის ორთაბრძოლა

თით ემხობა მუხლებზე, თავზე ხელებს დაიფარებს) – ო, კასანდრავ, ღვიძლო დაო, რაფერ გამწირე!

აქილეუსი: – მაშ, კასანდრას მიერ ბრძანდები თურმე გაქეზებული! მაშ, გამარჯვების იმედი მოგცა შენმა მისანმა, ბრძენმა დაიკომ!.. მაგრამ ხომ ხედავ, ღმერთებისგან რომ გაიწირე! ჩემს ხელთაა შენი სიცოცხლე!.. აქილეუსის სატყვერის ერთი მოქნევაკმარა, რომ თავი შენი გაგორდება დღემიწაზე! ხომ არ გგონია, როგორც სხვა დროს, ცის ღვთაება მოგეშველება? მაგრამ... არა მსურს შენი სიკვდილი! აი, ვიბრუნებ უკან იარაღს! წა, გამეცალე! შენ ხომ უწინაც არა ერთხელ გაქცეულხარ ბრძოლის ველიდან! ახლაც ხომ ვხედავ, როგორ ცახცახებ. სიცოცხლე როგორ გემვირფასება! მაშ, გაიქეცი! თავს უშველე, ვიდრე ახრი არ შემიცვლია!.. ვინ იცის, ეგებ შემდგომში მაინც გაგიდიმოს ბედმა ტიალმა და გამოადგე შენს ქვეყანას, ვით მეომარი! ვინ იცის, ღმერთებს რა უდევთ გულში! კეთილშობილი კასანდრავ კი ვერ მიუხვდეს ეგებ ნებას განგებისა. აბა, ჩქარა, მოკურცხლე-მეთქი, როგორც მრავალგზის, ამჯერადაც შევება-სიამე შენი მეუღლის გულმკერდზე ჰპოვე! (პარისი თანდათანობით უკან იხვეს. მერე გარბის თავქუდმოგლეჯით. აქილეუსს მწარე სიცილი აუტყდება).

აქილეუსი: – ერთი შეხედეთ, როგორ გარბის ეს კურდღელი! უკან არც კი იხედება! აი, თურმე რა ძვირფასია სიცოცხლე მისთვის, სხვებისას კი – არად დაგიდევს! არა, მზის მაღლმა, თუმც სიცოცხლე ცისიას შემდეგ ჩალად არ მიჩანს, ამ ლაჩრის ხელით აღარ ღირდა გამოთხოვება წუთისოფელთან! თუ სიკვდილია – ღირსეულ სიკვდილს ვირჩევ-მეთქი ბრძოლის ველზე, ვაჟკაცებთან შერკინებულ! თუნდაც იმისთვის, რომ ამნაირ მხდალ კაცუნებს საბაქიბუქოდ არ მივცე თავი!.. თუმც... შესაძლოა, ერთობ ბევრმა ველარც გაიგოს საქციელი აქილეუსისა და მაინც... ჩემსას არ დავიშლი, მოსწონთ თუ არა ეს ცის

ღვთაებათ თუ მიწისშვილებს!

მაშ, ასე! მტრის ჯინაზე ფარხმალს არ დავერი! ვიცოცხლო უნდა ალბათ მანამდე, სანამ სული არ გაეცლება ჩემს მოკვდავ სხეულს, სანამ ჯერ კიდევ მზეს ვფიცულობ სიყვარულის სადიდებელად... ჩუ! ეს ნაზი ფერიები საიდან გაჩნდნენ? რამ მოიყვანა ამ კარიბჭესთან, მუხის ჩეროში?

(თეთრსამოსიანი ფერიები, თავზე ყვავილების გვირგვინით, ხელიხელჩაკიდებულნი, გარს შემოერტყმიან აქილევსს).

ფერია: - ჩვენ გარდასულთა სულები ვართ, გმირო აქილევს! ჩვენ დღემოკლე პეპლების სახით ვეკლინებით ხოლმე მიწისშვილთ, რომ შევახსენოთ, ორასი წელიც რომ იცოცხლონ დედამიწაზე - წამისწამა წუთისოფელი და ჩვენსავით განქარდებიან. ამჟამად შენთან ფერიებად გარდავისახეთ... ამას თუ იცნობ, ქველო აქილევს?

აქილევსი: - ნუთუ?! ცისია გამოეცხადა უღირს მამაკაცს. ვინც თვისი ხელი გაისვარა მის წმინდა სისხლში? - ღმერთებო!.. დიდო ნანავ!..

ცისიას აჩრდილი: - ო, აქილევს, ძვირფასო ჩემო, მე ვიცი როგორ განიცდი ამას! ვით ინანიებ შენს საქციელს. და ისიც ვიცი, როგორ გიყვარვარ!

აქილევსი: - ნუთუ მართლა?! ნუთუ ჩემი გულის ნადები მართლა შეიცანი?

ცისიას აჩრდილი: - ო, სულეთიდან უკეთა ჩანს გულის ზრახვანი. და იჯერე, რომ ეს ასეა!

აქილევსი: - ნუთუ ირწმუნე? ირწმუნე მართლა, რომ მიყვარხარ თავდავიწყებით, უბოლოოდ, უსასრულოდ?

ცისიას აჩრდილი: - აკი ვითხარი, რომ იქავეთში არაფერი დაიძალება. ხელის გულზეა გადაშლილი ყველას გულისთქმა!

აქილევსი: - თუკი მასეა, მაშინ ვფიცავ ყველა საფიცარს, რომ მზად ვარ ახლავ, დაუყოვნებლივ სიცოცხლე დავთმო, გამოვესალმო წუთისოფელს, ოღონდ კი შენ კვლავ იცოცხლო და გაიხარო!

ცისიას აჩრდილი: - მე უშენოდ სამზეოში ვერ გავიხარებ, ჩემო აქილევს, რადგან შენსავით, მეც პირველი ნახვისთანავე შეგიყვარე!

აქილევსი: - ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ყური არ მატყუებს? თუ მასეა, მერედა რისთვის...

ცისიას აჩრდილი: - შენ გინდა



მიიხრა! მაშ, რიდასთვის შეგაკალთავი? ძვირფასო ჩემო, ახლა ყველაფერს ველარ გეტყვი... ჩვენთან რომ მოხვალ, მხოლოდ მაშინ საცნაური იქნება შენთვის ბევრი რამე, რაც დაფარული საიღუმლოა მიწისშვილთათვის. სამწუხაროდ, დედამიწაზე დიდი ხნის ყოფნა არ გიწერია, ჩემი არ იყოს! სამაგიეროდ, ჩემთან მოგიყვანს დიდი გრძნობა... სასულეთში სიყვარულით პოულობენ მხოლოდ ერთმანეთს! სიძულვილი, მტრობა, შუღლი - საიქითში ვერ ბოგინობს, ველარ ძლებს, გარბის იქიდან! იქ სულთა მხოლოდ ზეალსვლაა - სიყვარულით ნაკვებ-ნაზარდი! იქ პოხიერი ნიადავია მხოლოდ მისთვის!

აქილევსი: - ღმერთო ჩემო! ახლავ, ამ წუთას მოვეშურები, რომ ერთად ვიყოთ სამარადისოდ! ეს არის ახლა ჩემი ნატვრა, ჩემი ოცნება!

ცისიას აჩრდილი: - ო, არა. ჟამი ჯერ არ დამდგარა, ჩემო ძვირფასო! სამზეოში მიწისშვილები თუმც ეცდებიან ამოგვარონ ლაფში, ტალახში... გაუძლო უნდა! აიტანო! სიყვარული გაგაძლებინებს! აკი წესია ვაჟკაცების - ჭირთათმენა! მაშ, შეხვედრამდე! და გელოდები, რომ შენი გრძნობის მოზარედ გადავიქცე იქ, მიღმიეთში!

აქილევსი: - ო, დაცადე!.. ჯერ ნუ წახვალ!.. შენი ნახვა ისე მომწყურდა... ისე ძალუმად მენატრებოდი, ისე მწადადა მეშინრა შენთვის... აქ, უშენობას ველარ შეეძლებ! გვედრები, აღარ დამტოვო! კიდევ ცოტა ხანს მესაუბრე... მინდა დავტკბე შენი ხმის ჟღერით... მინდა მცირე ხანს ასე გიყურო - თუნდაც შორიდან!

ცისიას აჩრდილი: - ო, არა-მეთქი, ჯერ შენი ჟამი არ დამდგარა ჩვენთან წამოსვლის! უნდა აქ დარჩე, სამზეოში და... გიყვარდე! ეგ სიყვარული კე-

ლაპტარივით აგაბრიალებს, დაგწვავს, დაგფერფლავს და... სხვებსაც შენი სიყვარულით გზას გაუნათებ! ნახვამდის, ჩემო! უნდა დაგშორდეთ ახლა ერთმანეთს. ეს გვირილები საჩუქრად ჩემგან! გელი, მშვიდობით! (ფერიები ქრებიან. გაოგნებული აქილევსის ფეხთით გვირილები ყრია. ერთს დაწვდება).

აქილევსი: - მაშ, ვიდრე სამზეოში ვიმყოფები, უნდა ვიცოცხლო, ვიბრძოლო კიდევ! ასე იყოს, ჩემო ფერიავ - სანამ იქავეთს არ ვესტუმრები შენს სანახავად, რომ მუხლთმოდრეკით თავყვანი ვცე, ვით ღვთაებას, მზის მონათალს, სიყვარულის წყაროს ანკარას! არა, მისანო, თუმც დაკოილი გულით დავდივარ, თუმც ჩემს სატრფოსთან ყოფნის სურვილი არ მასვენებს დღისით, ღამითაც - ბედისწერის განჩინებას ქედს არ მოვუხრი! პრომეთეოსის მოდემის რაკილა ვარ, უნდა კიდევაც ყოველნაირ ტანჯვას გაუძლო, სანამ ჯერი არ მოსულა ჩემი სულთხდომის!.. ჩემო დედილო, შენც ამაოდ ნუღარ ღვრი ცრემლებს. შენი შვილი ბედნიერია, რომ აღარ მოუწია ამ საწუთროში უსიყვარულოდ ეცოცხლა - თუნდაც სულ მცირე ხანს! რა თავში ვიხლი გრძელ სიცოცხლეს! რა ბედენაა უსიყვარულოდ ამ ქვეყნად ყოფნა!

(ქონგურიდან ანაზღად პარისის მიერ გამოსროლილი ისარი მოხვდება აქილევსს. იგი ნელ-ნელა დაეშვება მიწაზე.)

აქილევსი: - მუხანათური ისარი მომხვდა... ასეც ვიცოდი!.. მაშ, გაემზადე, ჩემო აქილევს, შორი გზისთვის სიყვარულის საგზლით - სიყვარულთანვე შესახვედრად!.. (კვდება).

კატარა სფერო

პიპოკრატეს ფიცის ერთგული ჭეშმარიტი მკურნალისათვის არაფერია იმაზე საოცნებო და სასწაულო, შვება მოპვაროს შეჭირვებულ ავადმყოფს, დაუამოს ტკივილები, დაუბრუნოს ცხოვრების ხალისი და მომავლის იმედი. ამას კი ექიმი ისე ვერ შეძლებს, თუ მის მიერ დანიშნული წამალი და მკურნალობის მეთოდები ავადმყოფისადმი კეთილი განწყობით, გულისხმიერი დამოკიდებულებითა და ადამიანური სითბოთი არ იქნა გაჯერებული.

ასეთ მკურნალად იცნობენ კოლეგები და პაციენტები ახალგაზრდა ექიმ-დერმატოლოგს ნონა ბაღდადიშვილს.

ასეთად ვირწმუნე მისი გაცნობიდანაც. ეს შეხვედრა კი ერთი ჩვენი ძალზე ახლობელი ადამიანის მისადმი უდიდესმა მაღლიერების გრძობამ განაპირობა.

გსმენიათ ფსორიაზის შესახებ?

გინახავთ ამ დაავადებით დასნეულებული ადამიანი?

თუმცა, ექიმობა ან პირადი გამოცდილება სულაც არ არის აუცილებელი, გავაცნობიეროთ, თუ რა „ვერაგი“ დაავადებაა იგი.

ექიმის ნამბობიდან: ოცდაექვსი წლის მაკას, კარგი მეუღლისა და ორი შვილის დედას, რომელიც ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა, ოჯახურ ბედნიერებას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, – მაგრამ ხანგრძლივ ევ სოფელი, არავის გაახარებსო, – სწორედ ცხოვრების ამგვარ სიმუხთლეზე დასცდა პოეტს.

ქალი ფსორიაზით დაავადდა. დაირღვა ოჯახური მყუდროება. ექიმბაშებთან გაუთავებელმა სიარულმა და მუდმივმა ხარჯებმა შედეგი არ გამოიღო. მაკას ქმარი უნებისყოფო, მფრთხალი და უგულო ადამიანი შეიქნა. მიატოვა ავადმყოფი მეუღლე ორი მცირეწლოვანი ბავშვით და ოჯახს განერიდა.

უნუგემოდ დარჩენილმა ქალმა გაყიდა სახლი, მიატოვა პროფესიით სამსახური და რა და რა გზებით არ შეეცადა, თავი დაეღწია შექმნილი მდგომარეობიდან.

და აი, მხსნელად და შემნედ ნონა ექიმი მოველინა. მან არა მარტო



ნონა ბაღდადიშვილი

შეძლო მკვეთრად შეემსუბუქებინა მაკასათვის დაავადებით გამოწვეული ტანჯვა და წამება, არამედ მოახერხა, ექიმბაშებისაგან ამოეღო მისი უშედეგო მკურნალობისათვის წაგლეჯილი არც თუ მცირე თანხა. ცული ზმანება ნარსულს ამოეფარა.

მაკას ისევ დაუბრუნდა ცხოვრების ხალისი და მომავლის იმედი. დღეს მას ყველაფერი აქვს: სახლ-კარი, სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახური და რაც მთავარია, აღდგენილი ჯანმრთელობა, რისი მეოხებითაც თავის ორ შვილს ფარვანასავით დაჰფოფინებს... და ჰყავს უერთგულესი შეძენილი მეგობარი ნონა ბაღდადიშვილი, რომელიც არა მარტო მისი მკურნალი, არამედ სულის მესაიდუმლეცაა.

ყოფილი მეუღლე კი ამაოდ იჩოქებს მაკას წინაშე. ტყუილებრად ცდილობს, დაიბრუნოს შვილები და ოჯახური ბედნიერება.

მსგავსი მაგალითები ექიმის პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია, თუმცა ე. ფიფიას სახელობის საავადმყოფო-პოლიკლინიკის ბაზაზე არსებული „პუვა“ თერაპიის განყოფილება, რომელსაც რევაზ ლოლადის საქმის ღირსეული განმგრძობი ნონა ბაღდადიშვილი ხელმძღვანელობს, საბედნიეროდ, უკვე ასობით ჯანმრთელობააღდგენილსა და მაღლიერ პაციენტს ითვლის.



ყველას
რაიმა
აქვს
სახსოვარი

ნანი ბრეგვაძე,
ტატა ხვედელიანი.

პირველი გაბედული ნაბიჯები

რომანსი – კამერულ-ვოკალური ნაწარმოების ეს გამორჩეული ჟანრი, ადამიანის წუთიერ განწყობასა და მეტწილად სასიყვარულო განცდებს რომ გადმოგვცემს, მუსიკისა და პოეზიის პარმონიულობის ერთგვარი გამოძახატეულია.

საქართველოში რომანსის პირველი აკორდები მედიტონ ბალანჩივაძის, ია კარგარეთელის, კლასიკური ქართული რომანსის შემქმნელების დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელებს უკავშირდება.

თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთაგან გამოირჩევა

ალექსი მაჭავარიანი, რევაზ ლალიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, არჩილ ჩიშაკაძე... ლიტერატურიდან ცნობილია იოსებ გრიშაშვილის სასიძღერო რომანსების პოეტური ნიმუშები.

რომანსის ქართველ შემსრულებელთა ნუსხა კი მართლაც მდიდარი და ამოუწურავია. საკმარისია, დავასახელოთ განუთქორებელი ქეთო ჯაფარიძე, თამარ წერეთელი, ნანი ბრეგვაძე, მედეა ძიძიგური, შედარებით ახალი თაობის მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე, ჩავწვდეთ მათ მიერ შესრულებული რომანსის ნიბლს, რომ ადვილად ვირწმუნოთ სიმღერის ამ ჟანრის მაღალმელოდიურობა და მარადიული მშვენიერება.

რომანსის ასეთი მშვენიერი ტრადიციების ფონზე ახალი სახელის გამოჩენა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე ხელოვნების ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებში. ამიტომაც, გაბედულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 161-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლის ციალა (ტატა) ხვედელიანის პირველი მოკრძალებული შედეგები სასიძღერო ხელოვნების ამ ჟანრში.

სატელევიზიო კონკურსების (1995-1998წწ) ლაურეატი, ძველებური რუსული რომანსის შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის „რომანსიად – 98“-ისა და ბავშვთა საერთაშორისო ფორუმის „მსოფლიო ბავშვები მშვიდობისათვის“ (1998 წ.) მონაწილე – ასეთია ტატას ბიოგრაფიის პირველი მნიშვნელოვანი შტრიხები.

როგორ მიაღწია ტატამ ამ წარმატებებს, საიდან დაიწყო მისი სიყვარული მუსიკისადმი და როგორია ნორჩი მომღერლის მომავალი გეგმები, ამაზე თავად გვესაუბრა, როცა ის რედაქციაში სტუმრად მოვიწვიეთ:

– ჩვენთან ყველა მღერის და უნდოდით მეც მემღერა. პირველი აკორდები მაშიდამ მასწავლა. დედამ – სიმღერა. სწორედ მა-

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალბედა სპეციალისტი რკინიგზის საავადმყოფოში იწყებს დერმატოლოგიად მუშაობას.

კანის მრავალ დაავადებათა შორის მისი განსაკუთრებული ყურადღება იმთავითვე ფსორიაზმა, როგორც კანის ქრონიკული (და არა გადაქმნილი) დაავადების ურთულესმა სახეობამ მიიქცია. მოსკოვის ცენტრალურ დერმატო-ვენეროლოგიის კვლევით ინსტიტუტსა და ფრანკფურტის კვლევით ინსტიტუტში მიღებულმა გამოცდილებამ უფრო გააღრმავა და გაამდიდრა ამ დაავადების შესწავლისა და მკურნალობის მეთოდები. ამავე მიზნით იყო პოლონეთსა და ავსტრიაში.

პირველი აპარატურა, რომელიც რკინიგზის დეპარტამენტმა შეიძინა ფსორიაზის სამკურნალოდ, ბატონ თორნიკე ლალიძის (მიტროფანე ლალიძის შვილიშვილი) დახმარებით ჩამოიტანეს მოსკოვიდან. ხოლო გერმანიიდან ჩამოტანილი აპარატურა, რომელიც დღეს გამოიყენება ფსორიაზის წარმატებით სამკურნალოდ, თვით ქალბატონ ნონასა და ბატონ ალექსანდრე ვოზნიანოვის დიდი დამსახურებაა.

მათ გვერდში უდგანან გაერთიანების გენერალური დირექტორი ბატონი ბიჭო ბორჯაძე და საავადმყოფოს მთავარი ექიმი ბატონი თემურ გასვიანი. ძველი რკინიგზის საავადმყოფოს ბაზაზე, თევდორე მღვდლის 13 ნომერში, ახალ ცხრასართულიან კორპუსში პირველად „პუვა“ თერაპიული კაბინეტის გახსნა სწორედ მათი ხელშეწყობითა და მხარდაჭერით მოხდა.

აქ მუდამ ხალხმრავლობაა; საქართველოს რომელი კუთხიდან არ ჩამოდის ფსორიაზით დაავადებული ყველა პროფესიისა და ასაკის ადამიანები: ბავშვები, დიდები, მოხუცები.

ავადმყოფებს დიდი გულისხმიერებით ხვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებულ პრეპარატებს (მეტოქსალენის ჯგუფის) და კომპლექსური თერაპიის (აქტიური თერაპიის კურსი, შემანარჩუნებელი თერაპიის პირველი ეტაპი და შემდგომი პროფილაქტიკური მკურნალობა) მეთოდებს მოიცავს, აქედან უკმაყოფილო არავინ მიდის.

ისინი დიდი შედეგებით და ზოგჯერ უფასოდაც ემსახურებიან პენსიონერებს, ლტოლვილებს და სხვა გადახდისუუნარო ავადმყოფებს. ასეთები კი მრავლად არიან.

როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, დაავადების ძირითადი მიზეზი სოციალური ფაქტორი, ნერვული სტრესები, გენეტიკური მიდრეკილება და იმუნური სისტემის დაქვეითებაა.

დაავადების პირველი სიმპტომებისთანავე, რაც იმაში გამოიხატება, რომ კანზე (მეტწილად კიდურებზე) ჩნდება მოვერცხლისფრო-მოთეთრო ქიცვებით დაფარული წვრილი წითელი კვანძები, რომელიც

სწრაფად დიდდება და ქმნის ერთიან ბალთებს, ავადმყოფმა უნდა მიმართოს სპეციალისტს – ექიმ დერმატოლოგს და არა ექიმბაშებს, როგორც ეს ხშირად ხდება და მეტწილად არასასურველ შედეგს იძლევა.

მკურნალობის აქ აპრობირებული მეთოდებით დაავადება ისეთ ფაზაში გადის, რომ ავადმყოფი პრაქტიკულად თავს ჯანმრთელად გრძნობს და კანზე ადრე არსებული არასასურველი და სპეციფიკური გამონაყარი თანდათან უკვალოდ ქრება.

ვისაც ერთხელ მაინც მოუხდა ნონა ბალდაძის შვილის პაციენტი გამხდარიყო, უთუოდ იგრძნობდა, რომ აქ ავადმყოფობას მარტო პრეპარატებით კი არა ტკიბილი სიტყვითაც ამარცხებენ. ასეთ გულისხმიერებასა და მიდგომას თვითოეული ავადმყოფისადმი ხელს უწყობს ნონას ოჯახური გარემო, მეუღლე – რომელიც ყოველთვის გვერდში უდგას და შვილიც ცხრანლის ირაკლი ალაგაშვილი, რომლის წარმატებებით არა მარტო მშობლები, არამედ სხვებიც ამაყოფენ.

შესანიშნავი მეუღლე და კარგი დედა, ასეთივე მშვიდსა და ჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის იმ გარემოში, სადაც ის ტრიალებს – თავის კოლეგებსა და პაციენტებს შორის.

ამიტომაც უყვართ და ენდობიან გამორჩეულად. ამიტომაც ჰყავს უამრავი მეგობარი და დამფასებელი.

მერწმუნებ, ნონა ბალდაძის რეკლამა არ სჭირდება. პირიქით, ამ საკმაოდ ჭირვეული ავადმყოფობით – ფსორიაზით დაავადებულ ბევრ ადამიანს სჭირდება მისი ხელისა და გულის სითბო. ამიტომ თუმცა მიმართავთ, ეს სითბო და ნუგეში, იმედი და რწმენა არ მოგაკლდებათ და, რაც მთავარია, კვლავ დაგიბრუნდებათ ჯანმრთელობა და სიხალისე, რომლის გარეშე ცხოვრება ხშირად სატანჯველს ემსგავსება.

აკი შესავალშიც ვთქვით, სწორედ ერთ-ერთი ასეთი მაღლივი პაციენტისა და მისი მეუღლის, ჩვენთვის ძალზე ახლობელი ადამიანების თხოვნითა და დიდი სურვილით დაინერა ეს წერილი, როგორც ნონა ბალდაძის შვილის გულისხმიერებისა და უდიდესი ამავის პატარა საზღაური.



ნინო შარიშაძე

თი სურვილით დავიწყე მეცადინეობა მუხიკაში. ჩავაბარე ანასტასია ვირსალაძის სახელობის სკოლაში, ლუიზა ბუაძის კლასში (ფორტეპიანო). ბავშვობიდან მომწონდა რუსული რომანსები, მელიოდა – ადვილად დასამახსოვრებელი, გრძნობიერი და ძვირადღირებული. ამიტომ მოვიხსურევი გიტარაზე დაკვრა შესწავლა. მეცადინეობა ფილარმონიის კონცერტმაისტერ – სერგო ნაცვალაძესთან დავიწყე. საერთოდ, ამ ადამიანს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი გზის გაკვალვაში. მასწავლა რამოდენიმე რომანსი და დებიუტიც მალე შედგა. პირველად საქართველოს რადიოში ვიმღერე.

სულ მალე მეცადინეობა შეიღისიძიან გიტარაზე, ნინო არაზაშვილთან გავაგრძელე. ახლა უკვე ქართულ, რუსულ, უკრაინულ, იტალიურ და ინგლისურ სიმღერებს ვასრულებ. 1997 წელს, გაზეთ „ტრუდში“ წავიკითხეთ, რომ კონკურსი „რომანსიად 98“ ტარდებოდა. ჩავწერეთ ვიდეომასალა და მოსკოვში გავაგზავნეთ. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში მხოლოდ რუსები იღებდნენ მონაწილეობას, მე მაინც ჩამრთეს. კონკურსის ერთ-ერთი სპონსორი ბავშვთა ფონდი იყო. მწერალმა ალბერტ ლიხანოვმა, ბავშვთა ფონდის სახელით, ჩრდილო-იტალიაში ოცდდიანი მუსიკალური ტურით დამაჯილდოვა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერი ბავშვებისათვის. ნანა ბრეგვაძემ კი, რომელიც ამ ყიურის წევრი იყო, გზა დამძღოლა...

სამწუხაროდ, როგორც უკვე ვითხარით, ამ კონკურსში მონაწილეობდნენ მხოლოდ რუსები. ამიტომ ყიურის წევრებს მიემართე თხოვნით – კონკურსი საერთაშორისო გამხდარიყო. არ ვიცე, ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს თუ ჩათვალეს, რომ ასე აჯობებდა, კონკურსი საერთაშორისოდ გამოცხადდა. საქართველოდან ნინო არაზიშვილმა და დავით ოთარაშვილმა მიიღეს მონა-

წილეობა და დუეტში პირველი პრიზიც მოიპოვეს.

არასოდეს არ დამავიწყდება იქ გატარებული დღეები. გალა კონცერტი „მსოფლიოს ბავშვები მშვიდობისათვის“, იტალიელი მეცენატის ფ. კისტეს მიერ იყო ორგანიზებული. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელად კი მწერალი ალბერტ ლიხანოვი დაინიშნა.

გამგზავრებამდე ბატონმა ალბერტმა სურვილი გამოთქვა – იტალიაში ქართული დროშა და ჰიმნი წამელო. ასეც მოვიქეცი. ჩავფრინდით მილანში, იქიდან კი წავიყვანეს ქალაქ ტრენტოში, სადაც ბავშვთა შეხვედრების ორგანიზება ხდება. სწორედ ამ ქალაქში აღიმართა ქართული დროშა, შესრულდა ქართული ჰიმნი. მე კი, იტალიურ ენაზე, რევაზ ლალიძის „თბილისი“ შევასრულე. კონცერტები იტალიის ექვს ქალაქში ჩავატარეთ. გვმასპინძლობდნენ პარლამენტის წარმომადგენლები და მთავრობის ხელმძღვანელები. დაუმეგობრდით იტალიელ, ბრაზილიელ, ესპანელ, გერმანელ და შვეიცელ ბავშვებს.

ამ ქვეყანამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე...

ამ კონცერტების გარდა ტატას ჩატარებული აქვს ორი პერსონალური კონცერტი: ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში (1997 წ.), მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში (1999 წ.). გარდა ამისა, ის სისტემატურად მონაწილეობს სკოლის, რაიონის და ქალაქის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში.

ამჟამა ტატა სერიოზულად ემზადება ცნობილი ქართველი კონცერტმეისტერის – გიტარისტის, სერგო ნაცვალაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ამზადებს დუეტებს საქართველოს ფილარმონიის მსახიობებთან, ოთიაშვილთან და ნინო არაზიშვილთან ერთად.

ვუსურვით ამ ნიჭიერ გოგონას ახლ-ახალი წარმატებები...





„სპაის გერლზ“-ის მომღერალი მელანი ჩისპოლმი დრაკონის ნელინადს მომზადებული ხვდება. ლონდონში ყოფნისას, სადაც ის ახალი მუსიკალური რადიოსადგურის გახსნას ესწრებოდა, ექსტრავაგანტულმა გოგონამ დიდი სიამოვნებით უჩვენა პუბლიკას ტატუირება – არაჩვეულებრივი დრაკონის გამოსახულებით. „აი, თქვენ ნამდვილი ექსკლუზივი!“ – წამოიძახა ჩისპოლმა და მარჯვენა ფეხი გაიშოშვლა. უკვე დროა მელანიმ შეიცვალოს სპორტული მეტსახელი და ლედი დრაკონი დაირქვას“ – შენიშნეს ჟურნალისტებმა.



ცოტა ხნის წინ დიდ ბრიტანეთში ქალებს შორის უჩვეულო გამოკითხვა ჩატარდა. კითხვა ასეთი იყო: რომელი ცნობილი პიროვნების კლონირებას ისურვებდით, რომლის ორეულიც თქვენს სახლში ყველა სამუშაოს შეასრულებდა?
გამოკითხვის შედეგები ფრიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ქალების უმრავლესობისათვის სასურველი შინამოსამსახურეა ჰოლივუდის სექს-სიმბოლო ტომ კრუზი. მეორე ადგილი დაიკავა პირს ბროსნანმა, მესამე კი – „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშემ დევიდ ბეკემმა. საოცარია, რომ პირველ ათეულში არ მოხვდა მდედრობითი სქესის არც ერთი წარმომადგენელი.



სელინ დიონს ბოლოს და ბოლოს გამოუჩნდება თავისუფალი დრო: 31 წლის მომღერალმა იანვრიდან ერთწლიანი შვებულების აღება გადაწყვიტა. ეს 12 თვე მისი თავისუფალი ცხოვრებისათვის არც თუ ისე სასიამოვნო იქნება. თვითონ სელინი კი დასვენებას მოუთმენლად ელის. „მე და ჩემ ქმარს დასვენება გვინდა, ვიმოგზაურებთ, გავერთობით“... რას გულისხმობს გართობაში? „პირველ რიგში, – ამბობს ის, – დავლამქრავ მაღაზიებს!“.



როგორ შეიძლება გახდეს მსახიობი? „ძალიან ადვილად, – მიანია დიდის – 34 წლის მსახიობს, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ახლახან გამოსულ ფილმში „ცა ინგრევა“. – საჭიროა ყველაფერი დაუჯერო უფროს დას“. ალბათ ეს ასეა, თუკი უფროსი და – მიშელ პფაიფერია. „მიუხედავად შვიდწლიანი ასაკობრივი სხვაობისა, – ამბობს მიშელი, – მე და ჩემი და ყოველთვის ახლოს ვიყავით. ჩვენს შორის არასდროს ყოფილა შური. ჩვენ ვჭირდებით და ვცხმარებით ერთმანეთს. ვინ გეტყვის სიმართლეს, თუ არა საკუთარი და?“.



სილვესტერ სტალონეს ერთდროულად უჩივლა ყოფილმა რვა მოახლემ. ისინი მსახიობს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. ერთ-ერთი მოახლის, მარი ვივანკოს თქმით, სტალონე მათ, როგორც მონებს, ისე ეპყრობოდა. თუკი შემთხვევით შეხედავდნენ პატრონს, მათ სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდა. ასეთივე სასჯელი ელოდათ, თუკი უნებურად დაელაპარაკებოდნენ სტალონეს დედას. მსახიობს გაქურდვის ეშინოდა და მსახურებს აიძულებდა, გაეჩხრიკათ სტუმრების ჩანთები. ამის გარდა ხელფასებს უგვიანებდნენ, ან საერთოდ არ აძლევდნენ. თუ სასამართლო საქმეს შინამოსამსახურეთა სასარგებლოდ გადაწყვეტს, მაშინ სტალონე მათ გადაუხდის კომპენსაციას 500 000 დოლარის ოდენობით.

დები როუსთან გაყრამ, როგორც ჩანს, დიდად არ იმოქმედა 41 წლის ჯეკსონის შემოქმედებით გეგმებზე. მას კვლავ მრავალი ჩანაფიქრი აქვს. და არა მხოლოდ მუსიკის სფეროში. დღეს პოპ-მუსიკის მეფის აკვიატებულის აზრია კინოში გადაღება. ვისი განსახიერება უნდა მას? თვით სახელგანთქმული ეგვიპტის ფარაონის – ტუტანჰამონის! როგორც იტყვიან, ოცნება მავნებელი არაა! მთავარია, რომ შემოქმედებითი იმედები განხორციელდეს. ჯერჯერობით კი ჯეკსონი სხვა ფილმში გადაღებისათვის ემზადება. ფილმის სახელწოდებაა „ედგარ პოს ლამის კომმარტი“ და მასში მიიკლი მთავარ როლს ასრულებს. გადაღებები დაიწყება კვებეკში 2000 წელს.



მოამზადა ნინო ღვაგუაძე

30



თერთმეტი ოსკარის მფლობელი

„არ მიყვარს მალალი საზოგადოების თავ-
შეყრის ადგილები, - განაცხადა ერთ-ერთ ინ-
ტერვიუში მერილ სტრიპმა, - გამჭოლი მზე-
რა, დაუჩინებელი გამომხდევები... ეს ადამიანე-
ბი მოუთმენლად ელიან შენს თუნდაც უმნიშ-
ვნელო წინდაუხედაობას, შეცდომას, რომ შემ-
დეგ საათობით ილაპარაკონ ამაზე“... ასევე
მან აღიარა, რომ დღემდე თავს უხერხულად
გრძნობს, როცა ხალხის წინაშე გამოდის.
თუ დაუფუჯრებთ მსახიობს, „ოსკარით“

დაჯილდოების ცერემონიალს, ურჩევნია, ტე-
ლევზორს ოჯახთან ერთად უყუროს.

და, რაც მთავარია, მსახიობის სიღამაზეს,
რომელსაც მამაკაცების არაერთი თაობა მოჰ
ყავს ალტაცებაში, ვერ შეამჩნევთ, თუნდაც
მისხალ თავმონონებას, ნარცისიზმს...

მერილ სტრიპის პირველი მუღღლე ჯონ კე-
იხელემი იყო. მერილი სამსახიობო კარიერას
ინყებდა, რომ ჯონი კიბოთი დაავადდა. მსა-
ხიობს არც კი უფიქრია გადაღებებში მონაწი-
ლეობის გაგრძელება. ის, ცხრა თვე დიდი
გულმოდგინებით უვლიდა ავადმყოფს.

საყვარელი ადამიანის გარდაცვალებამ
მსახიობი მთელი ენერგიით ჩააბა მუშაობაში
და შედეგიც მალე მიიღო. მერილი ორი ოსკარ-
ით დაჯილდოვდა ფილმებისათვის „კრამე-
რი კრამერის წინააღმდეგ“ და „სოფის არჩე-
ვანი“.

სულ მალე, ის მოქანდაკე დონ ჰამერს
ხედება. მათი სიყვარული საკმაოდ ნაყოფიე-
რი აღმოჩნდა. მოსიყვარულე წყვილს სამი გო-
გო და ერთი ვაჟიშვილი შეეძინათ. პერიოდუ-
ლად მსახიობი „იძულებითი შვეულებას“
იღებდა. მართალია, მას ამ დროს ძალიან აკ-
ლდა მკვეთრი პროექტორების შუქი, მაგრამ
რას იზამდა, ოჯახში სულ უფრო მეტ და მეტ
ძალისხმევას მოითხოვდა. იყო თურმე მის
ცხოვრებაში ისეთი მომენტებიც, როცა ფიქ-
რობდა: ვეღარასოდეს ვითამაშებ ფილმებში.

„შეკრული წრე ჩემმა მეუღლემ გამარღვე-
ვინა. დენი ხედავდა, თუ როგორ განვიცდიდი
და როგორ მენატრებოდა სამსახიობო ცხოვ-
რება. დამარწმუნა და მირჩია - დაგებუნებო-
დი სამუშაოს და ნაწილი საოჯახო საქმიანო-
ბისა ძიძისათვის და შინამოსამსახურისათვის
გადამეცა“.

მერილ სტრიპი დღემდე დიდი ენთუზიაზ-

მით მუშაობს გადასაღებ მოედანზე... განსაც-
ვიფრებელი კარიერის საიდუმლოს გასაღებს
მსახიობი ბავშვობაში მიღებულ აღზრდაში ხე-
დავდა. მერილმა დრამატული ხელოვნების
სკოლა დაამთავრა, იყო ნიუ-იორკის თეატრის
კერძო შემსრულებელი. უყვარდა ოპერა, საა-
თობით შეეძლო კლასიკური მუსიკის მოსმე-
ნა. მონაწილეობას იღებდა კერძო გადაღებებ-
ში. მუშაობდა შოუბიზნესის ისეთ ნარმომად-
გენლებთან, როგორებიც იყვნენ ჯეინ ფონდი,
რობერტ დე ნირო, ვუდი ალენი. მათთან თა-
ნამშრომლობამ მსახიობს დიდი გამოცდილე-
ბა შესძინა.

„დღეს, თითქმის ყველას მსახიობობა უნ-
და. თავდაპირველად ჩემთვის კი, ეს იყო ისე-
თი სამუშაო, რომლისგანაც კოლოსალურ სი-
ამოყენებას ველებულობდი. აზრადაც არ მომ-
სვლია, ჩემი ცხოვრება კინოსათვის მი-
მეძღვნა. გარკვევით არც კი ვიცოდი, რა უნ-
და გამოგზავნიყო. ერთი პერიოდი მთარ-
გმენლობაც კი მინდოდა. მთავარი ჩემთვის კი,
მანაც ის იყო - სამყაროს, ადამიანებს გამოვ-
დგომოდი.“

ბოლო ხანებში მერილი სულ უფრო და უფ-
რო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახში ყოფ-
ნას. როცა ბავშვები პატარები იყვნენ, მსახი-
ობს ერთ სათრე შეეძლო ბარგის ჩალაგება და
ქვეყნის მათრე მხარეც წასვლა გადაღებაზე.
„ახლა ძნელია მათი მოწყვეტა ჩვეული ადგი-
ლიდან და წაყვანა. ისინი იზრდებიან, აქვთ სა-
კუთარი წრე, პიროვნებებად ყალიბდებიან და,
რა თქმა უნდა, უფლებაც აქვთ, სადაც უნდათ
და როგორც უნდათ, ისე იცხოვრონ“.

მიუხედავად ასაკისა, მერილი არანეუ-
ლებრივად გამოიყურება. მსახიობი ძალიან
დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის გარეგნო-
ბას და ყველა ქალს იგივეს ურჩევს.

„დესნატორი“ - ანუ „ტახების ქელესი“...

ახალი წლის წინა დღეებში კახელების ერთ
ლაშაჰ ქეიფში მოვხვდი. კარგად ვიმზიარულეთ,
კახური მრავალეამიერიც შემოვძახეთ და გამომ-
შვიდობებისას ერთმა გურჯაანელმა გამოვიცხა-
და: მალე ჩვენში „ტახების ქელესი“ დაიწყება და
ყველას გვაბატყებთ!

„ტახების ქელესი“... უეცრად საშობაოდ უნ-
გრეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში გატარებუ-
ლი დღე გამახსენდა, როდესაც „დესნატორში“ მო-
ნაწილეობისათვის მიმიწვიეს. „დესნატორი“ უნ-
გრეთში ყველაზე ცნობილი და გამორჩეული საა-
ხალწლო და საშობაო დღესასწაულია და ქართუ-
ლად „ღორის დაკვლასთან დაკავშირებულ ქეიფს“
წინადას.

თანამედროვე უნგრეთში იგი სოფლებსა და
პატარა ქალაქებში შემორჩა. ეს დღესასწაული
სწორედ იმდროსაა, სადაც მეცხოველეობას მის-
დევნენ. „დესნატორი“ გარდა მისი პრაქტიკული
მხარისა იმითაა გამორჩეული, რომ მასზე თავს იყ-
რის ოჯახის ყველა წევრი ქვეყნის რომელიმე მხარე-
შიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი. დღესასწაულზე
იწვევენ ოჯახის უახლოეს ნათესავებს, მეზობლებს,
მოყვრებს, და რაც უფრო ხალხმრავლობაა, მით
უფრო პრესტიჟულია ოჯახისათვის.

თვით დღესასწაული მნიშვნელოვანი ფაქ-
ტორია ნათესაური კავშირების გამყარებასა და
შენარჩუნებაში.

ტრადიციის მიხედვით დღესასწაულზე ჩამო-
სულ ნათესავს ჩამოაქვს რაიმე, რაც წვეულებას
სჭირდება, მაგალითად, ღორის დასაკლავი დანა,
ძეხვის დასატენი მექანიზმი, ძაბრი, რაიმე ახალი
და გამორჩეული სპეცია.

დღით, ერთმანეთის მისალმების და მო-
კითხვის შემდეგ, სტუმარ-მასპინძელი მუშაობას
შეუდგება. კაცები კლავენ ღორებს, ქალები ამზა-
დებენ საუზმეს, რომლის შემდეგ იწყება დღესას-
წაულის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - ხორ-
ცის დამზადება. ხორცის უმეტეს ნაწილს ძეხვის
დასამზადებელ ფარშია აქცევენ. აქვე მიმდინარე-
ობს დებატები, თუ რომელი სპეციაა უმჯობესი
გემრიელი ძეხვის დასამზადებლად, წითელი
ტყეილი და ცხარე წიწკით, უცხოური თუ ადგი-
ლობრივი სპეციებით და ბალახებით უხვად შეზა-
ვებული უნგრული შინაური ძეხვები მთელს ევ-
როპაშია განთქმული. მათი დამზადების ტექნო-
ლოგიები საიდუმლოდ ინახავს ყოველი ოჯახი.

სამეხვე აპარატს ჩამოაქმევენ წელს, დატე-
ნიან მას, დაანწილებენ და მზა ძეხვების აცმას

საგანგებოდ მოწყობილ შენობაში მოათავსებენ
შესაბოლოად. მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ბევრია: აღ-
ნობენ და ამარილებენ ქონს, ძვლებიდან ხარშა-
ვენ სუპს, შიგნელობიდან ამზადებენ ვერტოქო-
ლებულ „ლივერნაია“ ძეხვს. კასრებში დებენ ღო-
რის ნაჭრებს, ხოლო ყველაზე გემრიელ და კარგ
ნაწილებს დღესასწაულის მონაწილეებისათვის
ხარშავენ, წვავენ, ამზადებენ კერძებს.


იწყება ქეიფი. სუფრას წამდაუწუმ ემატება
ახალი, გემრიელი კერძები - უნგრული სამზარე-
ულო ერთ-ერთი ურთულესი და უგემრიელესია
მთელს ევროპაში. კერძებს ოჯახში დაწურული შა-
ვი თუ თეთრი ღვინოები, შინაური ალუბლიდან
გამონდილი არაყი და ლული მოჰყვება.

სადილი შეუძნეველად გადადის ვანშაში და,
მიუხედავად საყოველთაო მსიარულეობისა, რომ-
ლის მიზეზიც ბახუსია, სუფრაზე ნათესავები ოჯა-
ხურ პრობლემებს უზიარებენ ერთმანეთს.

ამბობენ დაახლოებით ასეთივე კახელების
„ტახების ქელესი“. მე არ მქონია ბედნიერება დაეს-
წირობოდი, მაგრამ მანსოვს წინაშე, ერთ შესანიშ-
ნავ ოჯახში „თათარობა“, ჩურჩხელების ამოვლება
და უგემრიელესი ღორის მწვალები.

მართლაც და პატარაა სამყარო - ადამიანე-
ბი, როდენ შორს უნდა ცხოვრობდნენ ერთმან-
ეთისაგან, როდენ განსხვავებულნი ჩვევები თუნ-
და ჰქონდით, ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს და,
რაც მთავარია, ყველა მათგანს ერთნაირად ახა-
რებს დღესასწაულები, კეთილი ურთიერთობა და
საკუთარი ერის ტრადიციები.

კროსვორდი



შვეულად: 1. გერმანული მწერალი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 2. საჭადრაკო მართლწერის გამომგონებელი. 4. ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეებში გავრცელებული ხვიარა მცენარეების სახელწოდება. 5. წვრილად დაჭრილი თხელი ცომის ნაჭრები. 6. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება. 7. მდინარე ჩრდ. ამერიკაში. 10. ნუგბარი. 12. სამეცნიერო შრომა, რომელიც საჯაროდ უნდა დაიცვას ავტორმა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 15. გრძელი, ფართო წამოსასხამი. 16. მერქნიანი მცენარე. 18. საკრავის ანუ ხმის ჟღერადობის ელფერი. 19. ქალაქი იუგოსლავიაში. 21. წესიერი ექვსწახნაგა გეომეტრიული სწეული, რომლის ყველა წახნაგი კვადრატია. 22. მოზრდილი მტაცებელი ფრინველი, ძერის მსგავსი. 24. მელოდიური ხასიათის პიესა ვიოლინოს, ვიოლენჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. 26. განთიადი, ალიონი, აისი. 29. სამხედრო საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი. 31. მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას. 32. კედლის, ხალიჩის, პარკეტის არშია, ბორღიური. 33. ძველი თბილისის კინოთეატრი.

შეადგინა ციალა აბაშუკელაძე.

თარაზულად: 3. მხატვრული კითხვა. 8. ქვეყნის ნაწილი დას. ნახევარსფეროში. 9. ნახშირის ფანქარი, რომლითაც ხატავენ. 11. წერილობითი თხოვნა, საჩივარი. 13. თანამდებობათა, წოდებულებათა თანმიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ. 14. ადამიანების, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ. 15. პოეტის შთაგონების წყარო. 17. მუსიკალური თემის ან მოტივის გამეორება. 20. ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. 23. ლავსანის სახელწოდება ინგლისში. 25. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა. 27. ჩრდ. კავკასიის მთიელების სოფელი. 28. რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. 30. ერთი და იმავე გვარის მეფეები, რომლებიც თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე ნათესაობის ან მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე. 32. ცხენის ჯოგი. 34. პერსონაჟი ქალის სახელი ვენესუელურ ტელეფილმში „რევანში“. 35. ფრანგი კომპოზიტორი (წარმოშობით შვეიცარიელი). 36. საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებ წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება.

„დროშა № 11-12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ბოდლერი. 7. სკეპტიციზმი. 10. კასტა. 11. კლანი. 16. მარში. 17. კლიმატი. 18. გესლი. 19. სარანდონი. 20. კონფლიქტი. 22. იგავი. 23. არტერია. 24. ლეონე. 27. ალალი. 28. ტაქტი. 31. პეროგატივა. 32. ანანური.

შვეულად: 1. პომპა. 2. ალპინიზმი. 3. არშია. 5. სკოტი. 6. ამა-ლა. 8. შანშიაშვილი. 9. ინტელიგენტი. 12. იარანგი. 13. პლენერი. 14. ატროფია. 15. პლატონი. 21. პენტაგონი. 25. კლერი. 26. ქარვა. 29. ფრანი. 30. შტორი.

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი - თავმჯდომარე,

ბულნარა გახტაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვატაძე, ნატა თათარაშვილი,
ზურაბ კვანტრიშვილი, თაღო ნინიძე,
დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ელდარ შენგელაია, ზურაბ ნაჩათელი,
თამაზ ჭილაძე.

№ 1-3 2000 (708)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

დროშა



მხატვარი მურთაზ აბაშიძე



40178/2

